გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N25 (9276) 10 სექტემბერი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

სწავლის დაწყებას გილოცავთ!

3

კამათში ჭეშმარიტება დაიბადა

3

დეკანოზ ათანასე რუხაძის გადასარჩენად!

TBC GE19TB7393245061100087

საქართველოს ბანკი
GE65BG0000000101397620

მიმღები თამარ რუხაძე

6

"კითხვის პროცესს მოჰყვება ემოციების, შეგრძნებების, შთაბეჭდილებების მთელი ტორნადო..."

7

როგორიც მიმზიდველიც შორიდან ჩანს, ისეთი არ არის

"მთავარია, ჩემს ქვეყანას ვემსახურო და გამოვადგე!"

4

5

ვინ შევა გალიაში?

დიდ ჯიხაიშში ფაროსანას ებრძვიან

თეა ბაბუნაშვილი

იმერეთის გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან და ფაროსანას წინააღმდეგ მებრძოლი საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელ ლაშა შალამბერიძესთან ერთად, სოფელ დიდ ჯიხაიშში ფაროსანას წინააღმდეგ გაჩაღებული სამუშაოების მორიგი ეტაპის დაწყებას პირადად დაესწრო. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, დიდი ჯიხაიშის მაჟორიტარი გოგი ლეჟავა და თემში გამგებლის წარმომადგენელი ნუგზარ ნუცუბიძე სტუმრებს ადგილზე დახვდნენ. როგორც ირკვევა, იმერეთში დიდი ჯიხაიში ერთ-ერთია იმ სოფელთაგან, სადაც აზიური მავნებელი განსაკუთრებით ჭარბობს. მის წინააღმდეგ საბრძოლველად პროგრამის "მოიზიდე და გაანადგურე" ფარგლებში მავნებელთან ფერომონებით მებრძოლი კიდევ ერთი სადგური დაამონტაჟეს. ეს მეთოდი ჯერ მავნებლის მოზიდვას, შემდგომ კი მის განადგურებას გულისხმობს. გარდა ამ ხერხისა, ტყეებისა და სხვა ტერიტორიების თერმული ნისლით შეწამვლის პროცესიც განახლდება და იგი მავნებლის მოზამთრე ფაზის დაწყებამდე გასტანს.

ლაშა შალამბერიძე საუბრობდა იმაზე, რომ ამერიკა 25 წელი ებრძოდა აზიურ მავნებელს. საქართველოში, მათი გამოცდილების გათვალისწინებით, 2 ნახევარი წლის შემდეგ გარკვეული შედეგი არსებობს. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ მოსახლეობამ თავად არ შეწამლა საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთები, ყველა მცდელობა უშედეგო იქნება, სახელმწიფოს რესურსი არ ეყოფა მავნებელთან საბრძოლველად. როგორც ცნობილია, აზიური მავნებლის პრობლემა, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს აწუხებს, საბედნიეროდ, აღმოსავლეთისთვის იგი პრობლემას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ, ჯერჯერობით, არ არსებობს ბიოლოგიური პრეპარატი, მავნებლის გასანადგურებლად, ყველა აქამდე გამოყენებული წამალი ქიმიური წარმოშობისაა. "ბიფეტრინის შემცველი ფერომონები დასავლეთ საქართველოს მასშტაბით 50 ლოკაციაზეა გადანაწილებული. შარშანდელთან შედარებით ნაკლებია მავნებელი, მაგრამ მოსახლეობის დახმარების გარეშე შორს ვერ წავალთ, შუქზე მოზიდვისა და შემდეგ განადგურების ეფექტით საკუთარი საკარმიდამოს შეწამვლის დიდ სამსახურს გაგვიწევს მოსახლეობა. შედეგი მხოლოდ სახელმწიფოსა და მოსახლეობის ერთობლივი ბრძოლით მიიღება." _ ამბობს ლაშა შალამბერიძე. მუნიციპალიეტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერიაც მოსახლეობის საჭირო აქტიურობას უსვამდა ხაზს: "მათთვის დარიგებული წამლით არ შეწამლა მოსახლეობამ საკარმიდამო ნაკვეთები. არადა, ეს სასურველი შედეგისთვის აუცილებელი ფაქტორია. უკვე მესამედ იწამლება ჩვენი მუნიციპალიტეტი, მავნებლის წინააღმდეგ მებრძოლი შტაბის მიმართ საყვედური არ გვეთქმის, მაგრამ თითოეული ჩვენგანის აქტიურობის გარეშე ვერაფერს მივაღწევთ. შედეგი მავნებლის შემცირებას კი არა, მისი განადგურებას უნდა დავარქვათ."

ბიფეტრინის შემცველი ფერომონის დაყენების შემდეგ, ეფექტი მავნებლის მოზიდვისა და განადგურების, იქ მყოფებმა თავად ნახეს.

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი "სამტრედიის მაცნე" იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

ბეტონის გზა პირველად სამტრედიაში

თეა ბაბუნაშვილი

პირველად, დაბლა გომის არსებობის ისტორიაში, სოფელში მისასვლელი გზა არა ასფალტბეტონის, ან მოხრეშილი, არამედ ბეტონის საფარით მოპირკეთებული იქნება. ამას ხაზი მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ გომის თემის სოფელ დაბლა გომში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას გაუსვა. "ბეტონის გზა კომუნისტების დროსაც კი არ ყოფილა გომში. მეზობელ მუნიციპალიტეტებს აქვთ ამის გამოცდილება, ჩვენთან კი ეს ახალი ხილია. და რადგან ამ შემადგენლობის გზა უფრო გამძლეა და ექსპლუატაციაში გაცილებით მეტი ხანი შეიძლება იყოს, გადავწყვიტეთ მაღალმთიანი ზონის სოფლებში მისი დაგება." _ აღნიშნა ვალერიანე ფოცხვერიამ. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია განმარტავს, რომ 5 მაღალმთიან სოფელში _ ოფეთი-დაფნარის, ოფეთი-ნიგორზღვის მიმართულებით, დაბლა გომში, გორმაღალში, ტოლებში 500-500 მეტრზე, ხოლო ჭოგნარში 700 მეტრზე დაიგება ბეტონის გზა. უპირატესობა ჭოგნარს ზანდოს მთაზე არსებული ტაძრის გამო მიანიჭეს, შემთხვევით ისარგებლეს და ზანდოს მთისკენ მიმავალი გზაც ამ ნუსხაში შეიყვანეს.

სოფლის მაჟორიტარი დავით ამაღლობელი ჩრდილში შეკრებილ თანასოფლელებს, საკუთარ ამომრჩეველს უხსნიდა, რომ ეს გზის 500 მეტრიანი მონაკვეთი, 4 მეტრიანი განითა და 16 სანტიმეტრი სისქით დაიგება.

სამუშაოებს, რომელიც 30 ივლისს დაიწყო, ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია "მიმდევი" ასრულებს. პირველი ეტაპი მობილიზებული ტექნიკით პერიმეტრის მოწესრიგება, დაგრეიდერება და გზის დასაგებად გამზადება გახლდათ. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯანო ჯანაშია აღნიშნავს, დღეში, 300 მეტრკუბის, ანუ 80-90 მეტრის დაგებას ასწრებენ. მხოლოდ გზის დაგებას 10 დღე სჭირდება. სამუშაოები ექვსივე ობიექტზე 4 თვეში უნდა დასრულონ, თითოეული ობიექტის დასრულებას კი მისი ვადა აქვს. ხელს კლიმატური პირობები უშლით, სამუშაოებს როგორც წვიმიანი ამინდი, ისე მაღალი ტემპერატურაც აფერხებს.

ადგილობრივების მადლიერებას გულისტკივილი მაინც ერთვოდა, წყალსაწრეტი არხი, ზემო სოფელ თეთრი ღელედან რომ გამოიყვანეს, საჭირო არ იყო, გზას მდინარე შავი ღელე მიჰყვება და ნაწრეტი წყალი მაინც იქ ჩაედინება. იმ ახლად გაყვანილ არხს, ქვა-ღორღი მაინც მალე ამოავსებს და არანაირ შეღავათს არ მოგვცემსო.

როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, ეს წელს, სამომავლოდ მაღალმთიანი სოფლების პერიმეტრზე, მისასვლელი გზების ბეტონის საფარით მოპირკეთებაა დაგეგმილი.

ბაღებში სააღმზრდელო პროცესი 17 სექტემბერს იწყება

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში 17 სექტემბერს განახლდება. დღეის მდგომარეობით 24-ვე ბაღი მეტ-ნაკლებად მზადაა აღსაზრდელების მისაღებად.

ტექნიკური მიზეზების გამო სარემონტო სამუშაოები მცირე დროით გადაიდო. მხოლოდ ნაბაკევის ბაგა-ბაღში რემონტდება შენობა. უახლოეს მომავალში დაგეგმილია, ნაბაკევში ახალი ბაღი აშენდეს.

"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს. ხათუნა გაგუას ინფორმაციით საბავშვო ბაღში მსურველი ბავშვების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს: "იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფი დაკომპლექტებულია, გვიწევს, სამწუხაროდ, მშობლებზე უარის თქმა. ვინაიდან ჯგუფების დამატების ფუფუნება ჯერ არ გაგვაჩნია. ვცდილობთ, ახლომდებარე ბაღებში ბავშვები მივიღოთ საცხოვრებელი ტერიტორიის მიხედვით. თანამშრომლებს 5 სექტემბრიდან დაწყებული აქვთ მუშაობა, ისინი ასუფთავებენ ოთახებს, ბაღის ეზოებს. შეძენილი გვაქვს ჰიგიენური მასალა და საკანცელარიო ნივთები, რომლებიც ამ დღეებში ბაღების წარმომადგენლებს გადაეცემათ, რათა სკოლამდელ დაწესებულებაში აღსაზრდელებს მოწესრიგებული გარემო დახვდეთ. ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი საქართველოს პარლამენტში სამტრედიიდან მაჟორიტარ დეპუტატს გრიგოლ მიქელაძეს, ნაბაკევის აღსაზრდელების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და ქველმოქმედებისთვის.

ნინო ნანიტაშვილი

კამათში ჭეშმარიტება დაიბადა

ლევან გაბეჩავა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი კობა ძიძიგური უძღვებოდა 3 სექტემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომას.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა ირგვლივ მომხსენებლები გახლდნენ: ქალბატონი ლიზა კრავეიშვილი, ბატონები მერაბ უღრელიძე და ვაჟა სტურუა.

განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიწვია, შესაბამისად მსჯელობის საგანიც გახდა საკითხი, რომელიც მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცებას შეეხებოდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკითხის ირგვლივ მსჯელობა ჯანსაღ, საქმიან ვითარებაში წარიმართა, როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები თავიანთ გამოსვლებში ეჭვშეუვალად აპელირებდნენ სამტრედიისა და სამტრედიელებისადმი მათი პატივისცემით.

კარგა ხნიანი მსჯელობის შემდეგ საკრებულოსათვის შეთავზებულ დადგენილებაში რიგი ცვლილებები შევიდა. ასე რომ, კამათში დაიბადა ჭეშმარიტება.

რამდენიმე წინადადებით საკითხის ირგვლივ გვსურს საკუთარი პოზიცია დავაფიქსიროთ. კერძოდ, მე-7-ე მუხლის 1 და 2 პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: მოქალაქე, რომელსაც მიენიჭა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილის მიუხედავად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სარგებლობს ყველა იმ სიკეთითა და შეღავათებით, რითაც სარგებლობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მოქალაქე.

მოქალაქეს, რომელსაც მიენიჭა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება და ჯილდო, უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს საპატიო სტუმრებთან შეხვედრებში, დიალოგებში, დისკუსიებში, მუნიციპალიტეტის საკეთილდღეო ღონისძიებათა შემუშავებაში. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე დაყენოს საკითხი ნიჭიერი, უნარიანი და კეთილსინდისიერი სამტრედიელის თვითრეალიზაციის ხელშეწყობის პირობების შემქნის თაობაზე.

ჩვენის აზრით, ხომ არ აჯობებდა პირს, რომელსაც მიენიჭება საპატიო წოდება, ჰქონოდა პრივილეგია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ესარგებლა შიდასაქალაქო ტრანსპორტით უფასო მგზავრობით, ან წელიწადში, თუნდაც ერთხელ, გათავისუფლებულიყო რომელიმე სახის, ან დენის, ან გაზის, ან წყლის გადასახადისგან, ან საკუთარ დაბადების დღეზე ერთჯერადი ფულადი ან ნივთიერი საჩუქარი გადაცემოდა?

მრავალწლიანი პრაქტიკით, საპატიო წოდება უკვე ღვაწლმოსილ ადამიანებს ენიჭებათ. ასე რომ, რამდენად იქნება საინტერესო და საპატიო ხანდაზმულთათვის საპატიო სამტრედიელისათვის მარტო საკეთილდღეო ღონისძიებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება?

როგორ, ჩვეულებრივმა მოქალაქემ რომ პერსპექტიული იდეა შემოგვთავაზოს, უფლება არა აქვს?! ან არ უნდა გავითვალისწინოთ ისინი? ასე რომ, რაკი ახალი წესი, გნებავთ დებულება მუშავდება, მოქმედთან შედარებით (თუკი სადმე არსებობს) უფრო დახვეწილი და ისეთი უნდა იყოს, რომ მომავალ თაობებს მოტივაცია მაინც გაუჩნდეთ. აი, ამ ადამიანმა იცხოვრა სამაგალითოდ და საპატიო და დამსახურებულიაო.

ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ რაკიღა გარდაუვალი და საყოველთაო გარდაცვალება, მხოლოდ კულტურის სახლიდან გამოსვენებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს საპატიო მოქალაქეთა პრივილეგირებულობა, ისე, როგორც აქამდე და ისიც რიგ შემთხვევებში.

დღის წესრიგში დასმულ საკითხთა განხილვის შემდეგ, საკრებულოს წევრმა ბატონმა ავთანდილ თადუმაძემ გააკეთა განცხადება, რომ დიდი ხანია, რაც ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში არ მუშაობს შუქნიშნები და განავითარა აზრი, რომ მოახლოებულ დღესასწაულთან (“ნიკოობა”) დაკავშირებით სამტრედიას უამრავი სტუმარი ეწვევა და გავითვალისწინოთო.

საკრებულოს სხდომამ, რომელიც საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილულ საკითხთა ირგვლივ შესაბამისი დადგენილებები მიიღო.

სწავლის დაწყებას გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

მიიწურა ცხელი, ხალისიანი ზაფხული. მისი უდიდებულესობა შემოდგომა მობრძანდა, საცაა დაიწყება ახალი 2018-2019 სასწავლო წელი.

ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს თანამედროვეობის გაზრდილი მოთხოვნები პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს, საზოგადოებას. არაა იოლი ერთმანეთს შეუხამო საგნის კარგი მცოდნე პედაგოგისა და ჭეშმარიტი აღმზრდელის თვისებები.

თანამედროვე გლობალიზაციისა და ღირებულებების გადაფასების ხანაში მასწავლებელს შეუძლია, სწორი გზით წაიყვანოს მოსწავლე და პირიქითაც.

წინასწარი მონაცემებით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებმა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას არცთუ ცუდი შედეგები აჩვენეს, თუმცა, არც მაინცდამაინც სახარბიელო. ათჯერ ნათქვამის გამეორება გვიწევს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სკოლებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მათმა კურსდამთავრებულებმა რეპეტიტორებთან მრავალწლიანი მომზადების გარეშე შეძლონ სასურველი პროფესიის დასაუფლებლად სასურველ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა.

თუ მოსწავლე V-VI კლასიდან და უფრო ადრიდან დადის რეპეტიტორთან, რა ფუნქცია აქვს სკოლას? სკოლისადმი, იქაური სწავლებისადმი ჩუმი პროტესტია თითოეული მოსწავლისგან, მათი ოჯახებისგან რეპეტიტორებთან ბავშვის მიყვანა, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ რეპეტიტორები სწორედ რომ დიდ საქმეს აკეთებენ.

მრავალწლიანმა დაკვირვებებმა ცხადჰყვეს, რომ მუნიციპალიტეტის მაგალითზე ერთსა და იმავე სკოლებში ეწყობა აღმზრდელობით-შემეცნებითი, სპორტულ-გასართობი, ინტელექტუალური ღონისძიებები, ერთი და იგივე სკოლების მოსწავლეები არიან გამარჯვებულები მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში, სხვები კი... საჯარო სკოლების ადმინისტრაციებისაგან, თითოეული პედაგოგისაგან მეტ შემოქმედებით მიდგომას ითხოვს ყოველივე.

სკოლისთვის არავის ჩამოურთმევია მისია, აღზარდოს მტკიცე, საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდობა. სინდის-ნამუსის, კაცთმოყვარეობის გრძნობის მატარებელი სრულქმნილი მოქალაქე. ბოლო ხანებში სკოლებში გახშირებულმა სამართალდარღვევის ფაქტებმა, ჩხუბმა, სისხლიანმა გარჩევებმა და ა. შ. დღის წესრიგში დააყენა სკოლისა და ოჯახის უფრო მჭიდრო კონტაქტის აუცილებლობა, რაც ბევრს ძველებური, დრომოჭმული პრაქტიკა ეგონა.

ნელ-ნელა უნდა მოხდეს პედაგოგთა ავტორიტეტის იქამდე ამაღლება, რომ პედაგოგებს, ზოგადად სკოლებს, არ დასჭირდეთ მანდატურები, ე. ი. ზედამხედველები.

დავფიქრებულვართ, როგორ იმორჩილებდნენ წლების წინ უკვე წვერ-ულვაშიან ჭაბუკებსა და ქალიშვილებს (მოსწავლეებს) პედაგოგები? სკოლა?

მაშ, დღეს რა გვიშლის ხელს?

მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი არასაპატიო მიზეზებით არა მარტო მოსწავლეთა (სამწუხაროდ) პედაგოგთა მიერ გაკვეთილების გაცდენის ფაქტები, განსაკუთრებით დამამთავრებელ კლასებში.

აუცილებელზე მეტად აუცილებელია, სკოლის ადმინისტრაციებმა წაახალისონ, განაზოგადონ მოწინავე, ნოვატორ პედაგოგთა გამოცდილება. ყოველნაირად შეუწყონ მათ ხელი.

დღეს ბევრს და ხმამაღლა საუბრობენ იმის შესახებ, რომ სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენაში არის რიგი ხარვეზი. ამ ვაკუუმის რამდენადმე მაინც შესავსებად პედაგოგებმა უნდა შეძლონ, თავად ესაუბრონ ახალგაზრდებს ზოგადსაკაცობრიო თემებზე, ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე, კულტურაზე, ტრადიციებსა და ა. შ.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ, ძვირფასო ახალგაზრდებო, პედაგოგებო, მშობლებო!

სამტრედიელ პატარებს ახალი ატრაქციონი ექნებათ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მომავლის პარკში ცოტა ხნის წინათ მოხდა ძველი ატრაქციონის დემონტაჟი. უახლოეს ხანში მის ნაცვლად პატარებს ბევრად უკეთესი, ახალი და ლამაზი ატრაქციონი ექნებათ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით “სამტრედიის მაცნემ” კომენტარი სთხოვა პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ირინა ფოცხვერიას. ირინა ფოცხვერია: “მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების პროცესი, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია, რომელიც მოგვაწოდებს ატრაქციონს და თავადვე დაამონტაჟებს. ტენდერი გამოცხადებულია აუქციონის გარეშე. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით, დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, ქუთაისში რეგისტრირებული კომპანია “ჯთ დიზაინ მეტალი”.

ნაომა ნაცვლიშვილი

“მთავარია, ჩემს ქვეყანას ვემსახურო და გამოვადგე!”

ნათია ნაცვლიშვილი

ვინ იცის, ეს ბავშვები “სამტრედიის მაცნეს” დერეფანში რამდენიმე წელიწადში წარმატებული იურისტების, დიპლომატების თუ ინჟინრების სტატუსით შემოაბიჯებენ! სამტრედიის მუნიციპალიტეტის აბიტურიენტების წლევანდელი მონაგარი ეროვნულ გამოცდებზე შთამბეჭდავია! ოთხი მოსწავლე, რომლებმაც ამ გამოცდებზე ასპროცენტიანი გრანტი მოიპოვეს, რედაქციაში მოვიწვიეთ, რათა ეს ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდები მკითხველს გავაცნოთ!

მაშ ასე: ანა თვაური მესამე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული და ოქროს მედლის მფლობელია. ანამ კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე 100 პროცენტიანი დაფინანსება მოიპოვა. მას “სამტრედიის მაცნე” დიდი ხანია იცნობს, ის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემეცნებით-ინტელექტუალური ღონისძიებების აქტიური მონაწილეა, შესანიშნავად უკრავს და მღერის, არის ყოფილი “ორუდილელი,” ანსამბლ”ლადის” წევრი, “ლადი” ხომ “სამტრედიის მაცნეს” კედლებში დაბადებული ჯგუფია!

“სიმღერა ჩემთვის ჰობია, თუკი უნივერსიტეტში მომეცემა რაიმე საინტერესო პროექტში მონაწილეობის საშუალება, აუცილებლად მოვსინჯავ შესაძლებლობას, გამოცდებზე მაღალი შედეგები მქონდა, მაგრამ მაინც არ ველოდი ასპროცენტიან გრანტს, თავდაპირველად

შავი ზღვის უნივერსიტეტში მინდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ წლეულს იქ მიღება არ არის, ეს ორივე სასწავლებელი პრესტიჟულია, ყველაზე მაღალი ქულა სამოქალაქო განათლებაში ავიღე, ძალიან მაინტერესებს საერთაშორისო და სისხლის სამართალი, სამომავლოდ ამ ორ სფეროს შორის გავაკეთებ არჩევანს.” _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი.

ანო გეგუჩაძე სკოლის ბოლო ზარის საღამოზე მხიარული სკეტჩით გავიცანით, სადაც მან უბადლო იუმორისტული პერსონაჟი გაიცოცხლა! სკოლა მანაც ოქროს მედალზე დაამთავრა და სწავლა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე განაგრძო. “სკოლაში იმთავითვე ტექნიკურ საგნებს ვანიჭებდი უპირატესობას, თავიდან სოციოლოგია მაინტერესებდა, მაგრამ შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობებზე შევჩერდი, არ ვიცი, ჯერჯერობით, ვინ გამოვალ, უამრავი გაცვლითი პროგრამაა უნივერსიტეტში, არც უცხოეთში სწავლის გაგრძელებას გამოვრიცხავ.”_ ამბობს ანო.

ასევე ოქროს მედლის მფლობელია სკოლა “ცოდნის” კურსდამთავრებული, საბა კაცაძე. საბა კავკასიის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩაირიცხა ასპროცენტიანი დაფინანსებით! “სწორედ იმ უნივერსიტეტში მოვეწყვე იმ ფაკულტეტზე, რომელიც ავირჩიე, ვერ გეტყვით, რა მიმართულებას გავყვები და ვინ ვიქნები, მთავარია, ჩემს ქვეყანას ვემსახურო, როგორც გამოვადგები, ისე! ჩემს თავს უფრო საგარეო მიმართულებით, დიპლომატიურ ასპარეზზე ვხედავ, ჯერჯერობით, საშინაო პოლიტიკაში ჩართვა არ მინდა, ეს ნაკლებად მაინტერესებს, ვნახოთ, მომავალში რა იქნება...” _ ამბობს საბა. ის თავისუფალ დროს კითხულობს, უკრავს გიტარაზე, პიანინოზე და ასევე თამაშობს კალათბურთს.

შალვა კიღურაძემ მეთერთმეტე საჯარო სკოლა დაამთავრა და ისიც წლეულს კავკასიის უნივერსიტეტში ასპროცენტიანი გრანტით ჩაირიცხა ფაკულტეტზე ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია. “თავიდან ავირჩიე სამშენებლო ინჟინერია, მაგრამ მერე ეს ფაკულტეტი საერთოდ ამოიღეს, კარგად ვფლობ კომპიუტერს, ასევე კარგად ვიცი ინგლისური ენა, ყოველთვის მხიბლავდა ტექნიკური საგნები, ჩემი ჩარიცხვისას გადამწყვეტი გავლენა ფიზიკაში მოპოვებულმა ქულამ იქონია (75-დან 53). შალვა, როგორც მომავალი ტექნოკრატი, სიტყვაძუნწია. რაც შეეხება ჰობის,

შალვას ჰობი ნებისმიერი ჟანრის ფილმის ყურებაა! ოთხივე ეს ახალგაზრდა ზოგად უნარებში პედაგოგმა მურთაზ კალაძემ მოამზადა, ასევე ერთად მეცადინეობდნენ ინგლისურის პედაგოგ თამარ შენგელიასთან.

ჩვენმა რესპონდენტებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს თავიანთ სკოლებს, პედაგოგებს და “სამტრედიის მაცნეს”, რადგან ჩვენმა რედაქციამ პირველმა უმასპინძლა ამ წარმატებულ სამტრედიელებს, შპს “სამტრედიის მაცნეს” დირექტორმა ბეჟან გოგიამ ისინი გაზეთის ბოლო ნომრებითაც დაასაჩუქრა.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

გრიგოლ ვაშაძე დიდ ჯიხაიშში მხარდამჭერებს შეხვდა

ნათია ნაცვლიშვილი

მცირედი დაგვიანებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ ბოდიში მოუხადა სოფელ დიდი ჯიხაიშის ცენტრში, თაკარა მზეში შეკრებილთ და დასძინა, დიდი ნიკო ნიკოლაძის სახლმუზეუმში შევყოვნდითო. 11 პოლიტიკური პარტიისგან შემდგარი გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი სხვა ლიდერებთან ერთად დიდ ჯიხაიშში ვანიდან ჩამოვიდა. პრეზიდენტობის კანდიდატი საზოგადოებას “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სამტრედიის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ემზარ შუბლაძემ წარუდგინა. გრიგოლ ვაშაძე: “მადლობას მოგახსენებთ, ოჯახურ საქმეებს რომ მოწყდით, პატივია თქვენთან შეხვედრა, თქვენ რომ არ იყოთ, არ მოვკიდებდით ხელს არც ერთ საქმეს, რომელიც წამოვიწყეთ, ჩვენი მთავარი მიზანი, ამოცანა და ლოზუნგი არის: ეს სახელმწიფო დავუბრუნოთ ხალხს, ჩვენ ამ არჩევნებს ვიგებთ, უამრავი რამით დაგვაპირისპირდება ხელისუფლება, მაგრამ სადაც ჩვენ ვიყავით, ხალხის საპროტესტო განწყობა დიდია, ჩვენი დასავლელი მოკავშირეები უკვე ამათ ეუბნებიან: დროა, წაბრძანდეთო. 28 ოქტომბერს ჩაჰკიდეთ ხელი ერთმანეთს, ჩვენი ძალა არის ერთობაში, როცა ყველა მივალთ საარჩევნო უბნებზე. არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ეთქვა ჩემთვის, რომ არჩევნები არ აინტერესებს. პირიქით მეკითხებიან: ამ არჩევნებს დაიცავთ? საქართველოს კანონი და კონსტიტუცია რა შესაძლებლობასაც გვაძლევს, გამოვიყენებთ, ამათ არჩევნებს აღარ გავაყალბებინებთ. საქმე უკვე ერის და სახელმწიფოს გადარჩენას ეხება. ბატონი მურმანი ამბობს, მარტო ოჯახთან ერთად ნუ კი მობრძანდებით, გემუდარებით, ერთი ისეთი ადამიანი გამოიყოლეთ, რომელიც არ აპირებდა არჩევნებზე წასვლას, ჩვენი ძალა არის ნამდვილად ერთობაში. მილიონ შვიდასი, მილიონ რვაასი ადამიანი მოვა არჩევნებზე. თერთმეტი პოლიტიკური გაერთიანება არის ჩვენთან, თუ “ნაცმოძრაობის” წევრი არ ბრძანდებით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ან მხარდამჭერი ხართ. ემზარს ყველა იცნობთ, ტელეფონით დაურეკეთ ჩვენს ადგილობრივ ლიდერს, აქვე გავჩნდებით კამერებით, ნუ ფიქრობთ, რომ ხართ დაუცველები. ნურაფრის გეშინიათ, ზეწოლას თუ ეცდებიან, დარეკეთ შტაბში. ხელისუფლება გაგიმეორებთ: ამ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არა აქვს, რადგან კონსტიტუციით პრეზიდენტს პატარა ფუნქციები აქვსო, ეს არ არის მართალი, არ დაიჯეროთ, საკმარისი ფუნქციები აქვს. სავარძელი კი არ ქმნის ადამიანს, ადამიანი ქმნის სავარძელს. როგორც კი ხელისუფლებაში მოვალთ, პენსია 400 ლარი გახდება, გაერთიანებული ოპოზიცია საპენსიო ასაკის გაზრდის წინააღმდეგია.”

_ ხელი როგორა გაქვს, ხელი? _ შეეკითხა ჭარმაგი მამაკაცი მურმან დუმბაძეს, ვიდრე სიტყვით მიმართავდა შეკრებილთ. დუმბაძე ამომრჩეველს ცნობილი ფრაზით ახსოვს, “ნაცმოძრაობას” ვინც შემოხაზავთ, მარჯვენა გაგიხმებათო, რომ გვარწმუნებდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, ამოუწურავია შესაძლებლობები ქართული პოლიტიკისა, დღეს “ნაცმოძრაობის” კანდიდატის მხარდასაჭერად დგას მურმან დუმბაძე.

მურმან დუმბაძემ მოიწონა დიდ ჯიხაიშელთა ღიმილიანი სახეები, აღნიშნა, ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების სოფელში სხვაგვარ დახვედრას არც ველოდიო. _ ქართველებს გვყავს ყველაზე დიდი მათემატიკოსი, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია სორბონის უნივერსიტეტში დაიცვა, ეს გიორგი ნიკოლაძეა. მერე კი შეკრებილთ მიმართა, ბევრი ვიფიქრეთ და კონსენსუსს მივაღწიეთ, ერთ კანდიდატზე შევთანხმდით, მოგიწოდებთ: მაგ თქვენი ლამაზი მარცხენა და მარჯვენა ხელით ვაშაძე შემოხაზეთო.

_ ძალა ერთობაშია! _ უნდა იქცეს ქართველი ხალხის სამოძრაო მიზნად, ჩვენ გამარჯვებაში დარწმუნებული ვართ! _ აღნიშნა ბაჩუკი ქარდავამ.

შეკრებილთ ასევე მიმართეს მედეა ვასაძემ და “ახალი საქართველოს” წარმომადგენელმა თამთა შამათავამ.

უარი მცოცავ ოკუპაციას

ვინ შეიჭა ვაღლიაში?

ლევან გაბეჩავა

უმეგობრო და უმეზობლო კაცი რომ ცოცხლად მკვდარია და დამარხული, ცხადზე უცხადესია. კარგზე მეტი არაფერია იმაში, რომ საქართველოსთან დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების სურვილი დამოუკიდებლობის აღდგენიდანვე მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა გამოთქვეს. გამოთქმული აზრი და კეთილგანწყობა ქართველი ერისადმი, ორმხრივმა ხელშეკრულებებმა დაამოწმა-დაამტკიცა, აწ უკვე მეგობარ სახელმწიფოებს შორის რომ გაფორმდა.

ჰოდა, გადის წლები, თვეები... მოდის და მოიწევს ჩრდილოელი, სამწუხაროდ, აგრესორი სახელმწიფო - რუსეთი და რაც ომით ვერ წაიღო, მცოცავი ანექსიით მიაქვს, მავთულხლართებს ხლართავს ქართულ მიწაზე და ისედაც პატარა საქართველო თვალსა და ხელს შუა პატარავდება.

კიდევ ორი სოფლის ოკუპაცია განხორციელდა, რუსეთმა მავთულხლართები კიდევ გადმოსწიაო, გვაცნობა მედიამ ამ დღეებში, ზაფხულის მიწურულს. ორი სოფელი ათობით ჩაუმქრალი კერა, ორი სოფელი, თავისი ისტორიით, კულტურით, წარსულით, გაზრდილი და გასაზრდელი ქართველებით!

ასე ხდება თითქმის 10 წელია - რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ. მეგობარ-მეზობელ სახელმწიფოთა ლიდერები, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (ჩა)მოდიან, მიდიან საოკუპაციო ხაზთან, გამოთქვამენ შეშფოთებას და უკანვე მშვიდად მიდიან. ჩვენ კი, ქართველებს, იმედად მათ აღშფოთებას გვიტოვებენ. ამასობაში კი მოიწევს აგრესორი.

კიდევ ორი სოფელი.

ღმერთმა ქნას, ბოლო იყოს აგრესორის ეს ქმედება, მაგრამ უკვე წართმეულს რა ეშველება? ვინ როდის დაგვიბრუნებს?

ერთი უხერხული (არაპოლიტიკური) შედარება გვინდა გავაკეთოთ. გალიასთან, რომელშიც გამძვინვარებული დათვი, ვეფხვი ან ლომია, უპრობლემოდ მივალთ, მაგრამ შიგ მხეცებთან მხოლოდ მათი მომთვინიერებელი თუ შებედავს შესვლას.

უთუოდ მიგვიხვდებით, რისი თქმა გვსურს.

კარგია მავთულხლართებთან, სასაზღვრო ზოლთან მიახლოება, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული ქართველისთვის მავთულხლართების აღება, თუნდაც, ისევ ნელ-ნელა უკან გატანა, როგორც შემოიტანეს, ანუ მავთულხლართებს იქით გა(და)სვლა.

ამ საქმეში, ჩვენი აზრით, თითოეული წუთს ოქროს ფასი აქვს. უარი მცოცავ ანექსიას!

25 წელი აფხაზეთის ომიდან

ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს!

ლევან გაბეჩავა

"შე დაკარგულად ვერ ჩავთვალი იმას,

რაც ჩემი ნებით არ დამითმია".

თითქოს გუშინ იყო ყველაფერი, არადა, საუკუნის მეოთხედი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსული შოვინიზმით ნასაზრდოვებმა აფხაზებმა ხელი აღმართეს ქართველების წინააღმდეგ. თოფიც გავარდა, ქვემეხებიც დაიცალა და...

დადგა სისხლის გუბეები.

დაობლდნენ შვილები.

დაქვრივდნენ ახალგაზრდა ქალბატონები.

ძაძით შეიმოსნენ შვილმკვდარი მშობლები.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ომში გადაიზარდა და მოხდა კიდევ ერთი ომი ქართულ მიწაზე.

სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამჯერად არც ოსმალო დაგვსხმია თავს და არც სხვა ვინმე გადამთიელი, არამედ, ძირძველ ქართულ მიწაზე ამხედრებული აფხაზები, რომელთაც არ აკლდათ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან პატივი და დაფასება. მაგალითები? საკუთარი ტელევიზია, უნივერსიტეტი...

აფხაზეთის კონფლიქტი, ქართულ-აფხაზურ ომში რომ გადაიზარდა და წელიწადზე ოდნავ მეტი გასტანა, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია. პატრიოტი, სამშობლოს მოყვარული საჯიშე ბიჭები იმსხვერპლა ომმა. ბევრი იყო მათ შორის სამტრედიელი, თუმცა, აქ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მათ სადაურობას, ყველა ქართველი იყო.

მეხსიერებაში ამოტივტივდა ომის დღეები. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადადგმული სამშვიდობო ინიციატივების მიუხედავად ომი, ომის მრისხანე კანონებით მიმდინარეობდა.

ქვეყანაში თავდაცვის ფონდი შეიქმნა. ახალი დაშლილია საბჭოთა კავშირი. ეკონომიკურ მოშლილობას ომის მძვინვარება კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა.

უბრალო მოქალაქეები, პენსიონრები საკუთარ დანაზოგს რიცხავდნენ თავდაცვის ფონდში. სურსათს, ტანსაცმელს უგზავნიდნენ მეომრებს.

"სამტრედიის მაცნეს" რედაქციის თანამშრომელთა მიერ შეგროვილი სურსათიც გაიგზავნა 1993 წლის ზაფხულში აფხაზეთის მეომართათვის. საქველმოქმედო კონცერტებს მართავდნენ საჯარო სკოლები, ბაგა-ბაღები.

სამტრედიელი დავით ლევიძე იყო პირველი, ვინც აფხაზეთის ომიდან ცალი ფეხით დაბრუნდა. არაერთი სამტრედიელი დაიღუპა აფხაზეთის ომში. ასიათასობით ადამიანი იქცა დევნილად საკუთარ სამშობლოშივე. სამტრედიაშიც გაჩნდა კომპაქტურად დასახლებულ დევნილთა ადგილები. უმძიმესია აფხაზეთის ტრაგედიიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგაც მათთვის ომის საშინელებების გახსენება.

შეუძლებელია, არ გავიხსენოთ სახელოვან ქართველ ქალთა მიერ გამართული აქცია-მსვლელობა სლოგანით: "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის". აქციის ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ სამტრედიელთათვის ცნობილი პიროვნება, ღვაწლმოსილი ქალბატონი ნათელა გელეიშვილი, რომელმაც იმ დღეების ქრონიკა გულიდან წამოსული ლექსის წრფელი სტრიქონებით შემოგვინახა:

"ხილული და უხილავი მტერი
გვყავდა მრავალი, /დაიხოცნენ სამშობლოსთვის, მეფე, მხედართმთავარნი./ გმირი ცხრა ძმაც შეეწირა საქართველოს ალიონს,/ კვლავაც შიში იპყრობს ყველას, ქვეყანა არ არიონ./ დაკარგული მიწებიდან ისმის კვნესა, ტკივილი,/ ამაზე რომ დავფიქრდები, მეძალება ტირილი./ მაგონდება აფხაზეთში გამართული აქცია,/ ქალები რომ შეგვკრა ძალად, ლომგულებად გვაქცია./ სიცოცხლეზე არ ვფიქრობდით. გვადარდებდა სოხუმი,/ ოჩამჩირეს ვეღარ გავცდით, ზეიმობდა ორგული./ გზამ ცრემლებით ჩაიარა, კაღრში დარჩა ჟიული,/ ღირსთა შორის ღირსეული, ცეცხლოვანი, მზიური./ კაცი გმირად მოვლენილი, მადლიანი, ღვთიური!/ რას მოვესწარ, ჩემს სამშობლოს ეს რა ბედი ეწია?/ ისევ სისხლი, ისევ მარცხი, გარს მტერი რომ გვეხვია./ დრო-ჟამს გამძლე ფუძეთაგან დღეს დევნილი ბევრია./ ტკივილები არ მასვენებს, ხმა მომესმის ენგურის,/ ხიდზე ვდგავარ ერთი ვინმე, ჩემი ქვეყნის ერთგული./ გადავძახებ გულით წრფელით, ლილეოს და ჟამიერს,/ აფხაზ ძმებსაც ავამღერებ ქართულ მრავალჟამიერს./ ზღვის ტალღებიც დამშვიდდება, გაცოცხლდება მიდამო,/ ერთიანი საქართველო, ჩვენ ხომ ყველას გვინდაო./ ენგურზე კვლავ გავაჩაღებთ, მეგობრობის მარათონს,/ მშვიდობას და ერთა ძმობას განა ქვეყნად რამე სჯობს?/ კვლავ ფიქრებში ვფორიაქობ, მესიზმრება ტბა რიწის,/ ჰორიზონტზე მზე ამოდის, ოს, აფხაზთა ხმა ისმის./ შეხვედრამდე ვეღარ ვითმენ, გაგვიგრძელდა მანძილი,/ დროა, ქალმა ჩამოაგდოს შერიგების მანდილი./ მშვიდობიან დროს ვესწრაფვით, მშვიდობიან ალიონს,/ დაე, ძმებმა თასი ერთად სულ ბოლომდე დალიონ."

შეუძლებელია ვისაუბროთ აფხაზეთის ომზე და არაფერი ვთქვათ ჟიული შარტავაზე, კაცზე, რომელმაც გმირობისა და თავგანწირვის საუცხოო მაგალითი გვიჩვენა და დაარღვია სტერეოტიპი, თითქოს გმირები მხოლოდ ადრე იბადებოდნენ. არა, ჩვენს დროშიც იბადებიან გმირები და დაიბადნენ კიდეც.

ეროვნული გმირის ზედწოდებით აღუნუსხა ჟიული შარტავას მადლიერმა ერმა ყოველივე.

მალე საუკუნის მეოთხედი მიელევა 1993 წლის 27 სექტემბრის შემდეგ, როცა დაეცა სოხუმი.

დროებით დაკარგული აფხაზეთის დაბრუნების იმედით დაიწერა ეს წერილი.

“ვისაც ლიტერატურა უყვარს”

“კითხვის პროცესს მოჰყვება ემოციების, შეგრძნებების, შთაბეჭდილებების მთელი ტორნადო...”

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენს რუბრიკას “ვისაც ლიტერატურა უყვარს” საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ჟურნალისტი იმედა გოგავა სტუმრობს. წიგნები _ ეს ის თემაა, რაზეც ნებისმიერი განათლებული ადამიანი თვალებგაბრწყინებული საუბრობს, განურჩევლად პოლიტიკური კუთვნილებისა თუ პროფესიისა. ჩვენს რესპონდენტს პოლიტიკურ ცხოვრებაზე არაფერი გკითხეთ, მის აღმატებულება წიგნზე ვსაუბრობთ მხოლოდ...

_ სად უფრო პრიორიტეტულია კითხვა თქვენთვის _ წიგნში თუ კომპიუტერში?

_ რაც თავი მახსოვს, წიგნთან და კითხვასთან ყოველთვის ვმეგობრობდი, ადრეულ ბავშვობაში თითქმის ყველა ქვეყნის ზღაპრები ზეპირად ვიცოდი, მერე კი სათავგადასავლო და დეტექტიურმა ლიტერატურამ გამიტაცა, რასაც მოჰყვა რელიგიური და ფსიქოლოგიური ლიტერატურით ჩემი გატაცება. მახსოვს, ერთი პერიოდი ფანტასტიკის ჟანრითაც ვიყავი დაინტერესებული. მოკლედ, ჩემი აზრით, კითხვა ყველგან და ყოველთვის არის საჭირო, აუცილებელი და სასარგებლო. შესაბამისად, ჩემ შემთხვევაში დიდი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რა ფორმატში მიწევს კითხვა. ჩემთვის მთავარი კითხვის პროცესია, რომელსაც, როგორც წესი, თან ახლავს ხოლმე ახალი ინფორმაციის მიღება, რასაც თავისთავად მოჰყვება ემოციების, შეგრძნებების, შთაბეჭდილებების მთელი ტორნადო, რაც კიდევ უფრო ძლიერს და გამოცდილს მხდის. ჩემდაუნებურად ვიწყებ იმ თემებზე ფიქრს და ანალიზს, რაც წაკითხვამდე არც კი მახსოვდა, არც კი მაღელვებდა და არც ვაქცევდი სათანადო ყურადღებას.

_ შეგიძლია დაასახელო თანამედროვე ავტორები, რომელთა ნაწარმოებს, პროზაულს თუ პოეტურს, მოუთმენლად ელოდები?

_ ძალიან მიყვარს თანამედროვე მწერლების კითხვა, მათ შორის მყავს ჩემი ფავორიტები. მომწონს მათი წერის მანერა და თხრობის კულტურა, მათი ცოცხალი, მრავალმხრივი და წარმოუდგენლად საინტერესო სიუჟეტები, გამოვყოფდი ცნობილ თანამედროვე მწერლებს_ კაზუო იშიგუროს, ამარკუს ზუზაკს და დევიდ მიტჩელს.

_ წიგნი, რომელმაც თქვენი სულიერი სამყარო შეძრა და მისი არაერთხელ წაკითხვის სურვილი გიჩნდებათ...

_ წიგნი, რომელმაც შემძრა, არის ანრი ბარბიუსის “ცეცხლი”, შემიძლია, ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ ამ წიგნმა მთლიანად შეძრა ჩემი სულიერი სამყარო, მაყვირა, მაბღავლა, გამაცოფა, მომატარა ადამიანის სულის ყველაზე ბნელი კუნჭულები და დამანახა მისი ყველაზე უღირსი ზრახვები. ამასთანავე, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი რომანი ომზე. მასში არ არის რომანტიკა და პოეზია_ მხოლოდ ბოროტი, ცინიკური სიმართლეა, რომელიც ცეცხლივით წვავს გონებას, გულს, ხელებს, სახეს, სიმართლე იმაზე, რომ ომი _ არის ჭუჭყი, სიმყრალე, ტკივილი, სიკვდილი... სურვილი ჩნდება, რომ რაც შეიძლება შორს მოისროლო ეს წიგნი, მაგრამ ამავდროულად დაიმახსოვრო სამუდამოდ_ რადგან ძალიან უბრალოდ და გულახდილად საუბრობს ავტორი იმაზე, რაზეც სხვები დუმილს ამჯობინებენ.

_ მეგობრებად მხოლოდ წიგნიერ ადამიანებს ირჩევ?

_ კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მეგობრობა ყოველთვის იყო ადამიანთა ურთიერთობების უმთავრესი პრიორიტეტი, შესაბამისად, ისტორიას ბევრი მაგალითი ახსოვს, როცა გაუნათლებელი და უწიგნური ადამიანები სიცოცხლესაც კი თმობდნენ მეგობრისთვის და პირიქით, როცა განათლებული და წიგნიერი მეგობრებისაგან მხოლოდ ავანტიურას, ინტრიგას, ღალატს და იმედგაცრუებას იღებდნენ. აქედან გამომდინარე, ამ კითხვას ასე ვუპასუხებდი: ვცდილობ, მეგობრად ადამიანი ავირჩიო!..

_ დაგვისახელე საყვარელი უცხოელი და ქართველი კლასიკოსები...

> *რაც მეტი წიგნი გაქვს წაკითხული, მით მეტის წაკითხვის სურვილი გიჩნდება. კითხვის პროცესი კი უაღრესად საინტერესოა, რადგან შეუცნობლის შეცნობის შანსი გეძლევა, ეს კი მაქსიმალურად გმუხტავს, გაინტრიგებს, გახალისებს, გაჯადოებს, შემდეგ კი, გაძლევს საშუალებას, დატოვო ეს ჯადოსნური სამყარო...*

_ ქართველი კლასიკოსებიდან ჩემი ფავორიტი გახლავთ მიხეილ ჯავახიშვილი, რომლის ნაწარმოებებიც ყველაზე ახლობელია ჩემთვის. მომწონს და რამდენჯერაც არ უნდა გადავიკითხო, ყოველთვის რაღაც ახალს აღმოვაჩენ. რაც შეეხება უცხოელ კლასიკოსს, იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე არის ჩემი უსაყვარლესი ავტორი, ხოლო მისი “ფაუსტი” კი ადამიანური გონის, ნიჭის და შესაძლებლობების ხმაშეწყობილი სიმფონია, რომელთა ერთობლიობაც ქმნის რაღაც არაამქვეყნიურს. დღემდე შეუცნობელისა და პასუხგაუცემელის, ამაღლებულისა და დაუჯერებელის, რეალურის და ირეალურის სინთეზს...

_ ასაკის მატებასთან ერთად შეცვალეთ თუ არა დამოკიდებულება ჟანრების მიმართ, თუ ერთსა და იმავე ჟანრს ერთგულობთ?

_ ზღაპრების ასაკიდან დიდი ხანია, რაც გამოვედი, თუმცა, მინდა გაგიმხილოთ, რომ ზღაპრების კითხვა ახლაც მიყვარს. გამოდის, რომ ასაკი არ მემატება ან კიდევ, ჟანრებისადმი საკმაოდ ერთგულებით გამოვირჩევი.

_ ვიცი, რომ საკმაოდ ახლოს იცნობთ არაერთ თანამედროვე მწერალსა და პოეტს, რომელიმესთან ურთიერთობების საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეთ... გაქვთ წიგნები ცნობილი დიდი მწერლების ან პოეტების წარწერით?

_ ჩემს ბიბლიოთეკაში საპატიო ადგილი უკავია ცნობილი მწერლების თუ პოეტების მიერ ნაჩუქარ წიგნებს, რომელთაც მათივე ავტოგრაფი ამშვენებს. გამოვყოფდი აკა მორჩილაძეს, ლევან ბერძენიშვილს, გიორგი ჭანტურიას და რატი ამაღლობელს...

_ რა წიგნებია ესენი და რამდენად დიდი და ფასეულია ისინი შენთვის?

_ ათეული წლის წინ გიორგი ჭანტურიამ (მაშინ ვიცნობდი, როგორც პოლიტიკოსს), მაჩუქა წიგნი, სადც მისი რამდენიმე მოთხრობა იყო დაბეჭდილი, ეს წიგნი ჩემთვის დღემდე სამაგიდო წიგნია, ვეღარც კი დავთვლი, რამდენჯერ მაქვს წაკითხული, გარჩეული და გაანალიზებული ამ წიგნის თითოეული აბზაცი, წინადადება თუ სიტყვა. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ამ წიგნმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა ჩემ თავში, გულსა და გონებაში. ამ პატარა მოთხრობებმა, რომლებიც გაჟღენთილია პატრიოტიზმით, ღვთის სიყვარულით, ქვეყნის მტრების მიმართ უკომპრომისო დამოკიდებულებით, ადამიანური სისუსტეებით, სიყვარულით და შიშით, სიძულვილით და ვნებით, მომავლისადმი რწმენით და იმედგაცრუებით, ბრძოლის და შრომის უალტერნატივობით, დაცემის და წამოდგომის აუცილებლობით, მოიცვა ჩემი სხეულის ყოველი უჯრედი და მის გავლენას ვგრძნობ ყოველთვის, ყოველდღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს... აკა მორჩილაძემ მაჩუქა “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები”, რატი ამაღლობელმა _ “ანგელარიუმი”, ლევან ბერძენიშვილმა კი _ “წმინდა წყვდიადი”...

_ შვილს საჩუქრად ჩუქნით წიგნებს?

_ ძალიან ხშირად ვჩუქნი, თუმცა, ამ ჟესტს, უკვე დიდი ენთუზიაზმით არ ხვდება, რადგან მისთვის პრიორიტეტი კომპიუტერი და წიგნის ელექტრონული ვერსიები გახდა, რასაც პირადად მე დღემდე ვერ ვეგუები.

_ “მთელი ცხოვრება ჭრილობიდან მარადიული სისხლის დენა იქნებოდა, პოეზია რომ არ არსებულიყო”-ო ამბობდა ილია, თქვენ გიყვართ პოეზია?

_ პოეზია, ჩემი აზრით, ეს არის ლექსად თქმული სიმღერა და შეუძლებელია, ამან გულგრილი დაგტოვოს! პოეტებიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი ნიკოლოზ ბარათაშვილს და ტერენტი გრანელს, ასევე ძალიან მომწონს თანამერდოვე პოეტები, რამდენიმე წლის წინ კი, სამტრედიაში ჩემი ინიციატივით მოხერხდა პოეტ რატი ამაღლობელის პოეზიის საღამოების მოწყობა, რამაც დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დამიტოვა. გულწრფელად უნდა გითხრათ, თითქმის არც ერთი ლექსი არ ვიცი ზეპირად, ყოველთვის მიჭირდა მათი დამახსოვრება, თუმცა, წაკითხვა ან მისი მოსმენა ყოველთვის ძალიან მსიამოვნებს.

_ დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?

_ პატარა ბიბლიოთეკა ნამდვილად არ მაქვს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ბიბლიოთეკა მაკმაყოფილებს, ზოგადად კი, არასდროს დამაკმაყოფილებს წიგნების რაოდენობა, რადგან, რაც მეტი წიგნი გაქვს წაკითხული, მით მეტის წაკითხვის სურვილი გიჩნდება. კითხვის პროცესი კი უაღრესად საინტერესოა, რადგან შეუცნობლის შეცნობის შანსი გეძლევა, ეს კი მაქსიმალურად გმუხტავს, გაინტრიგებს, გახალისებს, გაჯადოებს, შემდეგ კი, გაძლევს საშუალებას, დატოვო ეს ჯადოსნური სამყარო...

ოგორი მიმზიდველიც შორიდან ჩანს, ისეთი არ არის

ქეთევან ჭელიძე

ეს ზაფხული და შვებულება განსაკუთრებული იყო ჩვენი თანამშრომლისთვის, მაკა პაპავასთვის. თადარიგი მან რამდენიმე თვით ადრე დაიჭირა, საბერძნეთში დუდა რომ მოენახულებინა. ჩვენ ყველანი ვთანაუგრძნობდით მაკას და მეტ-ნაკლებად წარმოვიდგენდით, თუ როგორი იქნებოდა შეხვედრა 10 წლის შემდეგ. მით უფრო, რომ ქალბატონი ვიოლეტა ღვამიჩავა სიძესაც მხოლოდ ინტერნეტით იცნობდა და შვილიშვილსაც, ოქროსთმიან ანდრია წოწელიას.

წლებია, ძველი ელადა, მითების, ანტიკური ხანის უიშვიათესი არქიტექტურისა და ზეთისხილის ბალების ქვეყანა, ტურისტულის ვარდა ჩვენისთანა განვითარებადი თუ ჩამორჩენილი ქვეყნებიდან ჩასული მიგრანტებისათვის სარფიან სამუშაო ადგილად იქცა. ამ ყველაფრის შესახებ ბევრჯერ თქმულა და ჩვენს გაზეთშიც დაგვიწერია. თითქოს ბევრი ვიცით საბერძნეთის და იქ მყოფი ჩვენი თანამემამულეების შესახებ, მაგრამ მაინც ინტერესით ვუსმენთ იქაურ ამბებს. ემოციურობას მოკლებული არც მაკას მონათხრობია. ჩვენც ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი, ამ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში როგორ ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები, როგორ სტკივათ და ენატრებათ შინ დარჩენილები.

უკან რომ მოვიხედე, ზღვა ხალხი დავინახე

“ჯერ ჩემი და ეკა წავიდა 13 წლის წინ საბერძნეთში. ძნელი და გრძელი გზა გაიარა, მაგრამ მაინც შეძლო, იქ ცხოვრება აეწყო. შარშან მეუღლესთან და შვილთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. დედაჩემი კი 10 წელია, არ მინახია. ათენში, დაახლოებით, ორასკაციანი თვითმფრინავით გავფრინდით. აქედან გარკვეული ნაწილი ჩვენსავით ნათესავების მოსანახულებლად მიდიოდა, დანარჩენები სამუშაოს მაძიებლები იყვნენ. საბერძნეთში რომ ჩავფრინდით, ვიდრე საბაჟოს გავავლიდით, მგზავრების სათავეში აღმოვჩნდით. უკან რომ მოვიხედე და ზღვა ხალხი დავინახე, შევშინდი, რაიმე პრობლემა არ შეგვქმნოდა.

ჩემები ათენში ცხოვრობენ. ძალიან კარგ ადამიანებთან მუშაობენ და ისინიც, თავის მხრივ, როგორც ნათესავებზე, ისე ზრუნავენ მათზე. ქალბატონმა ათინამ, ვისთანაც ჩემი და მუშაობს, ჩვენი ჩამოსვლის შესახებ რომ გაიგო, გადაწყვიტა, შვილთან, მარისიასთან ერთად გვსტუმრებოდა. მარისია ჩემი დის გაზრდილია. პატარაობისას “ალილოს” ამღერებდა და ქართულ ლექსებს ასწავლიდა. ოჯახი ამის წინააღმდეგი არ ყოფილა. უჩემოდ როგორ მიდიოდითო, ათინას მეუღლემ კოსტამ და ისიც გვეწვია. ათინამ თავისი ხელით მოგვიმზადა ბერძნული სალათი. მოგვიბოდიშა, აგარაკზე, კუნძულზე მივდივართ და სახლში ვერ გეპატიჟებითო. ყურადღებიანი და თბილი ხალხია.

ნდობა

თავიდან ასეც ხდება: ჩემი და ამბობდა, ოქროს ნივთებს სახლში ხან სად დადებულს ვპოულობდი და ხან სად, ასევე ფულსაც. მაშინვე პატრონს ვაძლევდი. ეს ჩემი ერთგვარი გამოცდა იყოო. შემდეგ იმ ოჯახმა ეკა შეიყვარა და ბინაც კი უქირავა, რომელშიც ამჟამად ცხოვრობს. ათინას სურვილით, მარისია ჩემი დისშვილის, მართას ნათლიაც გახდება.

უბანი, სადაც ჩემები ცხოვრობენ, უწინ მდიდრებით იყო დასახლებული. შემდეგ ძველი სახლები დაანგრიეს და ახლა თითო-ოროლაა თუ არის შემორჩენილი. იქ 5-6 სართულიანი სახლები ააშენეს. კოსტა და მისი ოჯახიც მდიდრები არიან. კოსტა ბიზნესმენია, მეუღლე ბანკში მუშაობს, მარისია კი მხოლოდ 14 წლისაა.

დედაჩემიც ძალიან თბილ და ყურადღებიან ქალბატონთანაა დასაქმებული იმავე სახლში, სადაც თვითონ ცხოვრობს. მოხუცი 84 წლისაა და ასაკი საერთოდ არ ემჩნევა. ქალბატონი კულა და მისი მეუღლე, რომელიც 97 წლის ასაკში გარდაიცვალა, თურქეთიდან გადმოსახლებულან. ისინი იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ ქვეყანა და ათენში ჩამოსულიყვნენ. მიუხედავად ამისა, მხცოვანი ქალბატონი თითქმის ყოველ წელს ახერხებს თავისი მშობლიური სტამბულის მონახულებას. ამ ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობას მათი კვება და ცხოვრების წესი განაპირობებს. იქ 92-94 წელი არაფერია. ამ ასაკისანი სიცოცხლით სავსენი არიან. დედაჩემი სამსახურიდან რომ ბრუნდებოდა, თითქოს შვილიშვილებთან აგზავნიდა, პატივისცემის ნიშნად იმდენ რამეს ატანდა ჩვენთან. რა მეშველება, ვიოლეტა როცა საქართველოში წავა, ლოგინად რომ ჩავვარდე, ვინ მომივლისო, წუხს.

ცხოვრობენ ღიღნანს და ბედნიერად

ყოველთვის ჯანმრთელი პროდუქტებით იკვებებიან ბერძნები. ზეითუნის ზეთზე დამზადებულ სალათებსა და უმეტესად მოხარშულებს მიირთმევენ. ჩვენებური შემწვარ-მოხრაკული საჭმელები მათთვის უცხოა. სხვათა შორის, ხასიათებით ბევრ რამეში ვგავართ ერთმანეთს.

სოფლიდან გლეხები ყოველ პარასკევს ჩამოდიან სატვირთო მანქანებით. სახელდახელოდ შლიან დახლებს და რა გინდათ, იქ რომ არ ნახოთ.

რაც შეეხება შვილებთან მათ ურთიერთობას სრულწლოვანების ასაკში შვილები სახლიდან მიდიან და თვითონვე პოულობენ სამსახურს. კაფეებში, მარკეტებში, სასტუმროებში და ა. შ. არიან დასაქმებულები. საწარმოები ათენში ძირითადად არ არის. პირველად ნაქირავებ ბინებში ცხოვრობენ, თუ მშობელმა კეთილი ნება არ გამოიჩინა და საკუთრებაში არსებული რამდენიმე ფართიდან ერთერთი არ დაუთმო. იმ ქალბატონს, ვისთანაც დედაჩემი მუშაობს, 2 სახლი აქვს და მისი ტყუპი შვილები ცალ-ცალკე ქირით ცხოვრობენ. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მოიხმარენ მშობლების ქონებას. იმავე სახლში მეზობლად დედას ორი გოგონა ჰყავს. ერთი როგორც კი სრულწლოვანი გახდა, დედამისმა ბინა აჩუქა. ამის შემდეგ ის შვილის ცხოვრებაში აღარ ერევა. ერთმანეთს მხოლოდ ტელეფონით ეკონტაქტებიან, რადგან თავიანთი საქმეებით არიან დაკავებულები. შეიძლება, თვე გავიდეს და ერთმანეთი ვერც ნახონ. ახალგაზრდები, თუკი უნივერსიტეტში სწავლას გადაწყვეტენ, სწავლის საფასურსაც თვითონ იხდიან. ზოგჯერ, შეიძლება, მშობელმაც დაუფინანსოს სწავლა, დანარჩენი თანხა თვითონ უნდა მოიპოვოს. ძირითადად, 8 საათიდან 3 საათამდე მუშაობენ. შემდეგ ისვენებენ. სამსახურში წასვლამდე, უკვე 7 საათზე, კაფეები ხალხით სავსეა. ყავას მიირთმევენ, გაზეთებს კითხულობენ და მერე სამსახურებში მიიჩქარიან. საღამოს კი პენსიონერებიც სტუმრობენ. იქ სახლში ყავას არავინ სვამს. მეგობრები ერთმანეთს აქ ხვდებიან, საუბრობენ. ასეთ დროს შეიძლება დაპატიჟოს და თანხაც გადაუხადოს ვინმემ ვინმეს. თუ არა და, საკუთარ დანახარჯს თვითონ იხდიან. ათენში ძალიან ბევრი მდიდარი ადამიანია, მაგრამ თავიანთი ქონებრივი მდგომარეობით თავს არ იწონებენ. ერთმანეთის ჯიბრზე, როგორც ეს ჩვენთან ხდება, მანქანებს არ იცვლიან, უმრავლესობა მოტოციკლეტებით მოძრაობს, განურჩევლად სქესისა და ასაკისაც კი _ მოხუცებიც მოტოციკლეტებით გადაადგილდებიან. მათთვის საფიქრალი არ არის, რა ჭამონ და ჩაიცვან. არ ზრუნავენ შვილებზე, ისე როგორც ჩვენთან, ასაკოვანი ადამიანიც ხშირად მშობლის საპატრონო რომ არის. ყველას აქვს სამედიცინო დაზღვევა და წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე მიზერული თანხით იკვლევენ თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამიტომაც ცხოვრობენ დიდხანს და ბედნიერად.

ათენი

ტრაპიდან ჩამოვედით თუ არა, თავს უკვე კომფორტულად ვგრძნობდით, იმდენად მოწესრიგებულია ყველაფერი. ბევრი რამ ვნახე და დავათვალიერე. ძალიან ლამაზი ქალაქია. ვიწრო ქუჩებს ზეთისხილისა და თუთის ხეები გასდევს. ყველა კორპუსი შემოღობილია და თავისი ჭიშკარი აქვს. ეზოებში უამრავი ყვავილი ხარობს. საღამოობით, სახლების წინ, ღია ცის ქვეშ, მოწყობილ კაფეებში ბევრი ხალხი იკრიბება. ძალიან კარგი სანახაობაა.

განუმეორებელია აკროპოლისი, საიდანაც სითეთრეში ჩაძირული ქალაქი იშლება. ბევრი საოცრად ლამაზჩუქურთმიანი ტაძარი და მნიშვნელოვანი ადგილი დავათვალიერეთ. მიუხედავად ყველაფრისა, მუდმივად იქ ვერ ვიცხოვრებ, მაგრამ სიამოვნებით დავრჩებოდი გარკვეული დროით, რადგან იქ ჩემი ოჯახის წევრები არიან.

ომონია

ეს ყველაზე ჭუჭყიანი და საშიში ადგილია ათენში. აქ ჩამოვიდნენ პირველად არა მარტო ქართველები, არამედ სხვადასხვა ეროვნების ხალხები. აქ გაიხსნა ოფისები და აქედან აგზავნიან სამშობლოში ფულსა და ამანათებს. კვირაში ერთხელაც აქ იკრიბებიან მიგრანტები და თავიანთ სიხარულსა და ტკივილს ერთმანეთს უზიარებენ. ბევრი იშვიათად დადის, რადგან არასამუშაო, კვირა დღით არ სარგებლობენ. ვის არ ნახავთ ომონიაში! სავსეა ალბანელებით, ბოშებით, ინდოელებით და ფერადკანიანებით. პირდაპირ ქუჩაში სძინავთ, ქურდობენ და ალკოჰოლურ სასმელებს ეტანებიან. ყველა აქაა, ვისაც შრომა ეზარება და სხვანაირად ცდილობს თავის გატანას.

ომონიაში ბერძნები თითქმის აღარ ცხოვრობენ. იმდენად შეიწროებულად გრძნობდნენ თავს, უმრავლესობამ გაყიდა თავისი სახლი და სხვაგან დასახლდა.

ნოსტალგია და გადარჩენის შანსი

როგორი მიმზიდველიც შორიდან ჩანს იქაურობა, ყველაფერი ისეთი არ არის. ალბათ, მხოლოდ ქართველების 50 პროცენტი თუ გრძნობს იქ თავს შედარებით კარგად. ძნელია იქ მუშაობა. დამქირავებლებიც სხვადასხვანაირები არიან. ზოგი საჭმელს არ აჭმევს მასთან მომსახურე ადამიანს, ზოგი ცუდად მოსავლელია, პრეტენზიულია. წლების შემდეგ აუტანელი მონატრება თრგუნავს იქ მყოფ ჩვენიანებს. იძულებულნი არიან, თავიანთი ოჯახების გადასარჩენად ყველაფერს გაუძლონ. დედაჩემის სტუდენტობის დროინდელმა მეგობარმა იმგზავრა თვითმფრინავით ჩვენთან ერთად. 15 წელია, საბრძნეთში ვარ, ჩამოვედი საქართველოში, მაგრამ ველარ გავჩერდები, სამსახური არ იშოვებაო, გვითხრა. სანამ უფალი შემაძლებინებს, ასე უნდა ვიაროო. ერთი თერჯოლელი ქალი მუშაობს ჩემს დასთან, საქართველოში რომ ჩამოვიდა, ცოტა ხნის შემდეგ ჩემ დას დაელაპარაკა ტელეფონით, ველარ ვჩერდები, უნდა წამოვიდე, ყველა ფულს მთხოვს და ფული აღარ მაქვსო. 13 წელია, სამშობლოში არ ყოფილა ჩემი მეგობარი. დაბრუნება მინდა, მაგრამ რომ ჩამოვიდე, ოჯახს გაუჭირდებაო, იკავებს თავს. 23 წლის იყო ეკას მეგობარი საბერძნეთში რომ წავიდა და ახლა 14 წელია, იქ ცხოვრობს. ისიც ვერ ბრუნდება, რადგან არანაირი პირობა არ არის აქ არსებობისთვის.

დედაჩემი ვისთანაც მუშაობს, იმ ქალის რძალი ინგლისური ენის სპეციალისტია. საქართველოში იმოგზაურა, თბილისი და მცხეთა მოინახულა. აღფრთოვანებას და გაკვირვებას ვერ ფარავდა: ასეთ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს როგორ უნდა გიჭირდეთო.

მე და ჩემი ოჯახი ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით საბერძნეთიდან, მაგრამ ჩემები როდის დაბრუნდებიან, ძნელი სათქმელია. ყველას უნდა სამშობლოში ყოფნა, მაგრამ ისევ და ისევ ეკონომიური პირობების გამო იძულებული არიან, ამაზე უარი თქვან.

ერთი სკოლის ისტორიიდან

ცოდნის საძირკველი - სკოლა (მოგონება)

წერილი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, ქალბატონ გულნარა სტურუას ეკუთვნის. იგი წარმოშობით სამტრედიელი და ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის №14 სკოლის კურსდამთავრებულია. ქალბატონი გულნარა პროფესიით ფილოლოგი, მხარეთმცოდნე, ბიბლიოთეკათმცოდნე და ბიბლიოგრაფია. მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი მან სწორედ საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას მოახმარა. ავტორია 150-მდე ნაშრომის. იგი გახლავთ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი გამგეობის წევრი. მუშაობდა პროექტზე "ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაცია" და გაიმარჯვა კიდეც "ღია საზოგადოება საქართველოს" კონკურსში.

ქალბატონი გულნარა დაჯილდოვებულია ღირსების მედლით. აქტიური პროფესიული საქმიანობის გარდა ის შემოქმედებით საქმიანობასაც ეწევა. წერს ლექსებს და ავტორია კრებულის "ჩემი ბილიკი."

წერილი, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, სრულ წარმოდგენას შეგიქმნით ჩვენი ღირსეული თანამემამულის დამოკიდებულებაზე თავისი მშობლიური სკოლის მიმართ.

რა არის სკოლა? ბავშვის თვალითა და გონით თუ ვიმსჯელებთ, სკოლა არის დიდი სახლი, სადაც ყველა მოზარდი უნდა შევიდეს, იქ უნდა განვლოს 11, 12 წელი. ამ დროში იქ მასწავლებლები მოდიან და ბავშვებს ასწავლიან ძალიან ბევრ რამეს. მერე, როცა ბავშვები დაიზრდებიან და საკმარის ცოდნას მიიღებენ, ემზადებიან უფრო დიდ შენობაში შესასვლელად. ამ დიდ შენობას ინსტიტუტი ან უნივერსიტეტი ჰქვია, ხოლო იქ სასწავლებლად მისულ სკოლადამთავრებულს - სტუდენტი...

ალბათ, მეც ასეთი წარმოდგენა მექნებოდა, უთუოდ, ექვსი წლის ბავშვს იმ დროს, როცა მშობლებს სკოლაში უნდა შევეყვანე. ალბათობას ვამბობ იმიტომ, რომ მაშინ არც არავის უკითხავს ჩემთვის სკოლის რაობის შესახებ. არადა, მართლაც საინტერესოა, რას ფიქრობენ ბავშვები, რა არის სკოლა!

ადამიანის ცხოვრების გზა, დაბადებიდან სიკვდილამდე, თავად სკოლაა. მაგრამ იგი ბავშვობის წლებშივე თუ არ იქნა ჩართული ცოდნის, განათლებისა და აღზრდის გარკვეულად და დოზირებულად მოწესრიგებულ სისტემაში, მაშინ მივიღებთ ფუნდამენტგამოცლილ და უხერხემლო ადამიანს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში იშვიათად მიაგნებს ცხოვრების გზაზე რაიმე ხელმოსაჭიდ ტოტს, მყარად რომ იაროს მიწაზე. საშუალო სკოლაზე მაქვს საუბარი, ახლა რომ საჯაროს ეძახიან. იგი არა მარტო ცოდნის საძირკველია, არამედ ერთგვარი წრთობაც არის, მომავალი ცხოვრებისთვის შემამზადებელი. ბედნიერია ის, ვინც ასეთი სკოლა გაუზრდელად გაიარა და ისე გადადგა შემდგომი ნაბიჯი. თუმცა, სწორედ ეს "გაუზრდელობა" ძალიან რთული, რადგანაც უამრავი "მაცდუნებელი ინგრედიენტებით" არის მოზარდის ჯერ კიდევ სათუთი ორგანიზმი მოცული... ამ შემთხვევაში აღმზრდელმა პედაგოგებმა უნდა იმარჯვონ, ბავშვის ოჯახთან ერთად, რომ მათ წინაშე დასახულ მიზანს მიაღწიონ, საკმაოდ რთულ ამოცანას თავი გაართვან. მაგრამ თუ ბავშვის აღზრდა ემბრიონშივე იწყება, როგორც ამას მკვლევარები ადასტურებენ, მაშინ კიდევ უფრო რთული საკითხი დგება სკოლის წინაშე, რადგანაც იქ აღსაზრდელად მიჰყავთ არა მხოლოდ პატარა, საყვარელი, მოსაფერებელი არსება, რომელსაც როგორც გინდა ისე გაზრდი და აღზრდი, არამედ ადამიანი, რომელსაც უკვე აქვს თავისი ხასიათი, იგი ინდივიდია, და რამდენ ასეთ ინდივიდთან უნდა იმუშაოს პედაგოგმა, რომ თითოეულს თავისი, საკუთარი გასაღები მოუნახოს, ასწავლოს, გაანათლოს ისე, როგორც ამ ინდივიდს შეეფერება, რათა ბოლოს იგი აღუჭურვოს ადამიანური უნარ-ჩვევებით. აი, რა რთული ამოცანების წინაშე იდგა ყოველთვის სკოლა. დღეს კი ეს სირთულე გაორმაგებულია, რადგანაც ეს უცნაური, ტექნოლოგიების განვითარების გზით სწრაფმავალი საუკუნე, გვინდა თუ არ გვინდა, სულ სხვაგვარ გარემოში მოხვედრილ, კომპიუტერებს, მობილურებსა და სხვა ტექნოლოგიებს უკვე გაჩენის დღიდანვე ნაზიარებ "პატარა ადამიანებს" გვთავაზობს. მაგრამ მე ახლა გასულ საუკუნესა და სულ სხვა დროზე მომიწევს საუბარი თუ, რა საკვირველია, ჩემი სკოლის ასაკს, პერიოდს, და ჩემს სკოლას მოვიგონებ.

1942 წელს, უკვე "გაქანებული" სამამულო ომის დროს, შემიყვანეს რკინიგზის № 14 საშუალო სკოლაში, რომელიც 1953 წელს დავამთავრე, ოღონდ, უკვე როგორც რკინიგზის № 24 ქალთა საშუალო სკოლა. ჩვენს პატარა ქალაქში ჩემს სახლთან უფრო ახლოს სხვა სკოლებიც იყო, მათ შორის ყველაზე ახლოს რუსული სკოლა, მაგრამ მამას თავისი მწიგნობარი და მეტად განათლებული მეგობრის (წულუკიძე იყო ის ბატონი გვარად, სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს) რჩევით ასე გადაუწყვეტია. ექვსი წლის ასაკის ვიყავი, ჯგუფში ყველაზე პატარა. სკოლაში მისასვლელად სარკინიგზო ხაზზე აგებული ხიდი უნდა გადაგვევლო, მოვხვდებოდით ეგრეთ წოდებულ, "ზდანიების" უბანში, შემდეგ რკინიგზის კლუბს ჩავუვლიდით და ჩვენი სკოლაც გამოჩნდებოდა დიდი ეზოთი და რკინის ჭიშკრით. ეზოში პალმის ხეები და დიდი მუხის ხე მახსოვს. სკოლა სამი შენობისაგან შედგებოდა. ერთერთი იყო ერთსართულიანი დაბალი შენობა, აი იქ, დიდ საკლასო ოთახში შეგვიყვანეს პირველკლასელები. თეთრი, გულზე ცისფერ ვარდებმოხატული აბრეშუმის კაბა მეცვა რომელიც ჩემს უკანა მერხიდან ერთმა ცელქმა ბიჭუნამ ისე დამისვარა, რომ მეორედ ვეღარ ჩავიცვი...

პირველად სკოლაში დედამ წამიყვანა, მაგრამ შემდგომში, ისე, როგორც ყველა სხვა ბავშვი, დამოუკიდებლად დავდიოდი. არ მახსოვს, გაკვეთილების შემდეგ რომელიმე ბავშვს ვინმე დალოდებოდა სახლში წასაყვანად. პირველი კლასის მასწავლებლები _ ნინა ცომაია, ამალია ბოხუა, ცისანა ჯანჯალია, რატომღაც ხშირად ცვლიდნენ ერთმანეთს. სწავლის დაწყებიდან ორი კვირაც არ იქნებოდა გასული, როდესაც საკლასო ოთახში ერთი ბუთხუზა გოგონა შემოიყვანეს _ თინა ნუცუბიძე, გაგვაცნო მასწავლებელმა და გამოკითხვა დაუწყო, ალბათ, როგორც დაგვიანებით შემოსულს. გოგონამ ბრწყინვალედ უპასუხა ყველა შეკითხვას, საუკეთესოდ იცოდა მიმატება, გამოკლება, წერა-კითხვა და სხვა. გულში ვინატრე, რომ მეც ასეთი ცოდნა მქონოდა. მოუმზადებელი ვიყავი, არც ანბანი ვიცოდი, არც მიმატება-გამოკლება. სამწუხაროდ, თინა მალე დაგვშორდა, სხვა ქალაქში გადაიყვანეს... მეწყინა. ეს ეპიზოდი რა გასახსენებელია, მაგრამ ეს ხომ ექვსი წლის ბავშვის (პატარა ადამიანის!) შთაბეჭდილებაა, რომელიც კრიტიკულად უყურებდა თავის თავს, თავის ცოდნას...

ძალიან ცუდი და მძიმე დრო სუფევდა. ერთი წელი იყო ომის დაწყებიდან გასული და უკვე თითოეული ჩვენგანის ოჯახს დაეტყო გაჭირვება. დილით ადრე ქარხნის საყვირის ხმა აღვიძებდა მოქალაქეებს და სამუშაოდ იწვევდა. ეს ხმა ომის დაწყებამდეც გვესმოდა და შეხვეული ვიყავით, გერმანული ბომბდამშენების გუგუნმა კი შემზარავი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ და ახლაც კი ჩამესმის ყურში ეს შიშის მომგვრელი გუგუნი. ატყდებოდა საჰაეო განგაში და მოსწავლეები წინასწარ გათხრილი სანგრებისაკენ გავრბოდით. თუ სახლში ვიყავით, ბუჩქები და ხეებით დაბურული ბაღები იყო ჩვენი თავშესაფარი. ლამფის შუქზე ვასრულებდი სასკოლო დავალებებს, კარგად მახსოვს თორმეტფურცლიანი ვარდისფერი და ცისფერყდიანი რვეულები, უჯრედებიანი და პირველკლასელთა წერისათვის განკუთვნილი ხაზებით, უხეში, ზოგჯერ ნაცრისფერი ფურცლებით, საშრობით. მიყვარდა ახალი წიგნების (სახელმძღვანელოების) სურნელი, ერთგვარი, ლურჯი, მრგვალი აბებით მელნის მოზმადება, კალმების შერჩევა და ლამაზ კალმისტარზე დაგება. მატერიის ბუდეში ჩასმული მინის სამელნეები ჩანთის სახელურზე გვქონდა გამობმული. ჩანთა ფრთხილად უნდა გვეტარებინა, რომ მელანი არ გადმოღვრილიყო, რაც ძალიან ხშირად გვემართებოდა. ზამთრობით საკლასო ოთახი მაღალი, დიდი, შავი ნახშირის ღუმელით თბებოდა, მახსოვს შორი გზიდან მოსული გაწუწული ბავშვები, გასაშრობად ღუმელთან მიმსხდარნი. ეგრეთ წოდებული, კალოშები და ბოტებიც მახოვს, რაც ფუფუნება იყო და იშვიათად თუ ეცვა ვინმეს. იყო შიმშილი, უპურობა, უშუქობა. საშინელი ჭადპურა ცხვებოდა და იმასაც "სტანდარტებით" არიგებდნენ. ახლა, ნავთის რიგებს არ იკითხავთ? განთიადიდან გვიან, ნავთის "გამოჩენამდე" რიგში რას ჩადგებოდნენ სამსახურში თუ სხვა საქმეებზე გასაქცევად გამზადებული ადამიანები და ტოვებდნენ ბიდონებს. ერთ რიგში ჩამწკრივებულ სხვადასხვა ზომის, უსწორმასწოროდ ჩარიგებულ ბიდონებს რა დამავიწყებს! ხშირად, ღამით გვესმოდა ქუჩის მორიგე დარაჯის გამაფრთხილებელი ხმა, ფანჯრები მუქი ფარდებით დაგმანეთ, ამ და ამ სახლიდან შუქი მოჩანსო. ეს არის მკრთალი მონახაზი ომის დროინდელი ცხოვრებისა, მაგრამ ჩვენ, უფროსების ფრთებქვეშ შეფარული ბავშვები, განსაცდელს ასე მძიმედ როდი აღვიქვამდით. ვცხოვრობდით ომის მალე დამთავრების ნატვრით, იმედით და ოცნებით. სულ მცირე რამე იწვევდა ჩვენს სიცილსა და მხიარულებას. გვახარებდა ერთად ყოფნა, თამაში... მაგრამ უძლურია სიტყვებით გამოხატო ის სიხარული, რაც ომის დამთავრების შესახებ უცაბედმა ინფორმაციამ გამოიწვია. იმ დღეს რა დამავიწყებს! ცხრა მაისს, დილით ადრე, ექვს საათზე მეზობლის რაღაც უცნაურად აღტყინებულმა ყვირილმა ოჯახის ყველა წევრი ფეხზე წამოგვაგდო. _ ომი დამთავრდა, გავიმაჯვეთო! _ გაიძახოდა. ხალხი გარეთ გამოეფინა, ქუჩა ახმაურდა. ჩემი ტოლი მეზობლის გოგონა თავის სახლის კიბეზე ჩამომჯდარიყო, ფეხებს აბარტყუნებდა და მთელი ძალით და ღონით გაჰყვიროდა: ომი დამთავრდა, მამიკო ჩამოვა, თეთრი პური გვექნება!...

პირველ კლასში თანაკლასელებთან: ციზერო საგინაძე, მზია ჩიხლაძე, ეთერი დანელია, იზოლდა ლეჟავა, მაყვალა ლორია, ნანული მეიშვილთან ხან "სერობანას" (იგივე "კლასობანა") თამაშით ვერთობოდი. ზოგჯერ, თქვენ წარმოიდგინეთ, სპექტაკლებსაც კი ვდგამდით სკოლასთან ახლოს მდებარე, ერთ დანგრეულ, მიტოვებულ შენობაში.

ოთხწლედის მასწავლებლები კარგად მახსოვს: ნადია ივანიაძე, მარო გიორგაძე (მათემატიკის მასწავლებელი, სამწუხაროდ, ადრე გარდაცვალა), მისი ახსნილი გაკვეთილებით შემიყვარდა ცარცი, დაფა და მათემატიკის საგანი. ქსენია კვინიკაძეც მათემატიკას გვასწავლიდა. ბუნებისმეტყველებას _ მარო გოგიშვილი, გეოგრაფიას _ ზინა გაგუა (შემდგომში _ ნადია ჟვანია), რუსულ ენასა და ლიტერატურას _ თამარ ჩხეიძე, იგივე თამარ ტარასოვნა, შემდგომ კლასებში კი რუსულს გვასწავლიდა კატუშა ბახტაძე. ა და ბ კლასების გაერთიანებული გაკვეთილების შემთხვევაში _ ტატიანა ტაბიძე (გალაკტიონ ტაბიძის ძმის მეუღლე, ცნობილი ჟურნალისტის, პროფესორ ნოდარ ტაბიძის დედა). მახოვს, იგი ძალიან ავტორიტეტული პედაგოგი იყო. ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა შურა კახაძე. ერთხელ, ლიტერატურის დავალების ნაცვლად, საგულდაგულოდ შესრულებული გრამატიკის დავალება მივუტანე მასწავლებელს. არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. რადგანაც კლასში ყველაზე პატარა ვიყავი პედაგოგმა ჩათვალა, რომ მე კარგად ვერ ვარჩევდი საგნებს და დედა დაკავალიანა. იქნებ ქალბატონი ქსენია გოგოძის მეთვალყურეობით რამდენიმე გაკვეთილი მოამზადებინოთ, პატარაა და მგონი საგნებს ურევსო. ასეც მოხდა. ქსენია გოგოძე საუკეთესო პედაგოგი იყო (ცნობილი დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის კარლო გოგოძის და შემდგომ მეშვიდე კლასში გვასწავლიდა), მაგრამ დიასახლისის ფორმაში რომ ვნახე, გამიკვირდა, ამას სამზარეულოდან გამოსული მჭადის სუნიც დაემატა, ვერ წარმომედგინა მასწავლებელი საკლასო ოთახის გარეშე. თუმცა, ყოველივე ამას ჩვენი ურთიერთობისათვის ხელი არ შეუშლია. პირველივე გაკვეთილის შემდეგ ვიყოჩაღე და მასწავლებელმა უფლება მომცა, სხვა მოსწავლეების (ორი, სამი მოსწავლე ყოველთვის ჰყავდა) ნამუშევრები გამეკონტროლებინა. თანდათან ვერკვეოდი სკოლის, როგორც ორგანიზაციის იერარქიაში: კლასის დამრიგებელი, სასწავლო ნაწილის გამგე, დირექტორი. ზედა კლასების ყველა საგანი და ყველა პედაგოგი მახსოვს.

განსაკუთრებული ინტერესი მქ-

ონდა ძველი საბერძნეთის ისტორიისადმი, რომელსაც პედაგოგი თამარ ჯანელიძე გვასწავლიდა. კარგად მახსოვს მისი გაკვეთილის გადმოცემის სტილი და მანერა, სწორედ მის საგანს რომ შეეფერებოდა, ისეთი. ჩემთვის დაუვიწყარია მისი ხმა. ერთხელ, მე და ჩემს კლასელს, მაყვალა ლორიას, საიდანღაც ხელში ჩაგვივარდა ბოკაჩოს "დეკამერონი". წავიკითხეთ, რა საკვირველია. მაყვალამ დაიჩემა, დეკამერონის ავტორი ქალიაო და დავიწყეთ დავა, სიმართლის დასადგენად მივმართეთ თამარ მასწავლებელს. გაუკვირდა, ეს წიგნი თქვენ საიდან გაქვთო, ჩამოგვართვა და მშობლები დაგვიბარა. ჩვენც გაკვირვებულები დავრჩით. ყველაფერს ვკითხულობდით, რაც კი ხელში მოგვხვდებოდა და ვგებულობდით იმას, რისი გაგებაც შეგვეძლო. ტყუილა შეშინდა მასწავლებელი, ეროტიკისა ჩვენ არაფერი გაგვეგებოდა და იმ წიგნიდანაც მსგავსი არაფერი აღგვიქვია. უცნაურია მოზარდის ბუნება, რამდენი რამ ავი და ცუდი შეგვხვედრია, მაგრამ ჩვენ ვრჩებოდით ის, რაც ვიყავით, რაც იდო ჩვენში, ანუ "კოკასა შიგან"... და მაინც, ეს "კოკასა შიგან" გამაგრებული იყო ჩვენი ოჯახური გარემოთი და სკოლით. დიახ, სკოლაში არ გვყავდა არც ერთი ისეთი მასწავლებელი, რომელსაც პიროვნულად და მორალურად რაიმე წუნს მოუნახავდით. გარდა ამისა, თითოეული მასწავლებელი (იყვნენ გამონაკლისები) მოსწავლეებთან შემოიფარგლებოდა არა მარტო თავისი საგნით, არამედ ისინი ჩვენ გვასწავლიდნენ სწორ მეტყველებას, ურთიერთობას, ზრდილობას, სიყვარულს, ჰიგიენასაც კი. დიახ, ცხოვრებას გვასწავლიდნენ! ახლა, მგონი, ყოველივე ეს საგნად არის გამოყოფილი და მას "უნარ-ჩვევებს" ეძახიან. თუმცა, ჩემი აზრით, გრძნობა და სიცოცხლეგამოცლილია ეს საგანი იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ ვგრძნობდით და განვიცდიდით უშუალოდ პედაგოგისაგან (სამაგალითო იყო ამ მხრივ ანატომიის მასწავლებელი ქსენია ღაღანიძე). გასული საუკუნის იმ მონაკვეთში, როდესაც ჩვენ, მოზარდები სკოლაში დავდიოდით, კარგად ვგრძნობდით, რომ ზოგიერთი საგანი ზედმეტი იყო და სწავლება _ გადატვირთული, მაგალითად თემების წერა ქართულ ლიტერატურაში ურთულესი იყო მოზარდებისთვის, მაგრამ ზოგიერთისთვის ძალიან ბევრი რამის მომცემი: თემისათვის დამოუკიდებლად კითხვარების შედგენა, კრიტიკული მასალების გაცნობა, დაფიქრება და ანალიზის უნარის გამომუშავება და სხვა ბევრი რამ სასიკეთო. მაგრამ საშუალო არითმეტიკულით თუ გამოვიანგარიშეთ, მივიღებთ, რომ, ზოგადად, რთული იყო საშუალო სკოლის მოსწავლისათვის ისეთი თემების წერა, რომელსაც ჩვენ გვავალებდნენ (პროგრამის გათვალისწინებით). ეს იწვევდა, ეგრეთ წოდებულ, "შპარგალკომანიას". რაც შეეხება გადატვირთულ პროგრამას, რა თქმა უნდა, იყო სწავლა გადატვირთული, მაგრამ მოზარდის ხასიათი და გონება თავად გამორიცხავდა მისთვის "ზედმეტს". მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ არც ერთ სხვა სასწავლებელს, ინსტიტუტს თუ უნივერსიტეტს არ მოუცია ის ზედმიწევნითი (ბუკვალური) ცოდნა, რაც სკოლამ მომცა. ასაკია ამის "მიზეზი" უდავოდ! საიდან მოდიოდა ამდენი ინფორმაცია, არ ვიცი. რას არ მივაგენი და რა არ მოვიხილე, მგონი ფილოსოფიაშიც "შევტოპე" მაშინ. ამიტომ ვამბობთ, სკოლა სწავლის საძირკველია!

წლებთან, კლასიდან კლასში გადასვლასთან ერთად მოზარდში თანდათან მყარდება გაურკვეველი საზელწოდების ის რაღაცა, ანატომიურ რუქაზე რომ ვერ მოუხაზავთ, არადა, ათეული საუკუნეებია გასული მას შემდეგ, რაც ძველი და ახალი ცივილიზაციის სამყაროს მეცნიერები დღემდე ეძიებენ და ვერ მიუგნიათ. რა დავარქვა მას, _ სული, სამშვინველი, მისწრაფება, ხასიათი თუ კოდებსა და ჰორმონებში შეფუთული ადამიანურობა, რაც დაბადებამდე ემბრიონშივეა თურმე მოქცეული, მაგრამ ეს ყოველივე თავისით როდი ვლინდება... ოჯახში, მონდომებული, მშრომელი მშობლებისა და სკოლაში პროფესიონალი პედაგოგების დიდი შრომა და გარჯაა საჭირო, რომ განვითარდეს მოზარდის გონება და სხეული, დაიხვეწოს მისი სული. თუმცა მხოლოდ სკოლა და ოჯახი _ ცივილიზაციის ეს ორი, უდიდესი ღირებულებების მქონე წარმონაქმნი როდია მოზარდის ადამიანად ჩამოყალიბების გარანტი. სოციალური გარემო, თანატოლები, ნაცნობ-ნათესავები, ყველაფერი ის, რაც სკოლისა და ოჯახის გარეთ, თავისუფალ გარემოში, თავისთავად, ყოველგვარი დაგეგმილი წესრიგის გარეშე წარმოიშობა, მოქმედებს მოზარდის აღზრდაზე.

დავუბრუნდეთ აღზრდისა და განათლების ძირითად ინსტიტუტს... იმისათვის, რომ სკოლამ თავისი მეტად ძნელი, რთული და საპასუხისმგებლო ფუნქცია შეასრულოს, აუცილებელია, მას მართავდეს განსწავლული, განათლებული ადამიანი _ პიროვნება. იშვიათია, ასეთს მიაგნო, მაგრამ საბედნიეროდ, სწორედ ასეთი გახლდათ ჩვენი სკოლის დირექტორი _ შუშანა ქართველიშვილი, მუდამ მუქ ფერებში ჩაცმული, დაბალი, სრული ქალბატონი, საოცრად ნათელი სახით, დარბაისლური მიხვრა-მოხვრით. მასწავლებელი თუ მოსწავლე _ ყველა მორიდებით ვიყავით მისადმი განწყობილი და მომსწრე მისი შრომისმოყვარეობის. საორგანიზაციო საქმეებით დატვირთულს, ხშირად გაუთენებია კიდეც თავისივე კაბინეტში. იმ პირობებში და იმ დროისათვის, ეზოდანვე ეტყობოდა სკოლას კარგი პატრონის ხელი.

დირექტორი საქართველოს ისტორიას გვასწავლიდა. მეტად ყურადღებიანი იყო, თუ ვინმე მოისუსტებდა მის საგანში, შედარებით ძლიერ მოსწავლეს მიაბარებდა. ასე მოხვდნენ ჩემთან გოგონები _ ფიქრია და ციალა. ფიქრია ნიჭიერია გოგონა იყო, მხოლოდ, მხატვრული ლიტერატურის კითხვა უფრო უყვარდა, ვიდრე გაკვეთილების მომზადება. სამივემ ერთად დავიწყეთ მეცადინეობა. შედეგით დირექტორი კმაყოფილი დარჩა. ერთხელ, ისტორიის გაკვეთილი გვაქვს, გაკვეთილის დაწყების ზარიც კარგა ხნის დარეკილია, მაგრამ დირექტორი არ ჩანს. მოსწავლეები გაფაციცებით ვიმეორებთ მოცემულ მასალას, მხოლოდ ერთი მოსწავლე _ ცისანა ბერაია, რომელსაც ავადმყოფობის გამო რამდენიმე წელი გაუცდა და ამჯერად ჩვენს კლასში სწავლობდა, იდგა ფანჯარასთან და მღეროდა. საუკეთესო ხმა ჰქონდა, ყველას გვსიამოვნებდა, მაგრამ ახლა მისთვის ვის ეცალა. ამ დროს შემოვიდა დირექტორი. ყველანი ფეხზე წამოვხტით, მოგვესალმა, რა თქმა უნდა, მაგრამ ვინ მღეროდა, წამოდგესო, _ გვიბრძანა. არავინ არ ამდგარა, დირექტორი კი დაჟინებით ითხოვდა პასუხს. დრო მიდიოდა საკლასო ოთახში მძიმე ღრუბლები ჩამოწვა. დირექტორი ასეთი გაბრაზებული არასოდეს გვენახა, ეტყობა არც ისე სასიამოვნო სტუმრების გამო დაიგვიანა. სანამ უნდა გაგრძელდეს ასე? _ გავიფიქრე და ჩემდა უნებურად წამოვხტი. კლასი დაიძაბა. _ პატივცემულო დირექტორო, გარეთ, ფანჯარასთან ვიღაც გოგონა იდგა და ის მღეროდა.... წარმოვთქვი მე საკმაოდ მტკიცედ, თუმცა, სიცხისაგან ლოყები ამეწვა. კლასმა ამოისუნთქა. დირექტორს არ გაჰკვირვებია, მჯერა შენი გულწრფელობისო, _ ღიმილით შემომხედა. გაკვეთილი შედგა.

არ შეიძლება, ორიოდე სიტყვა არ ითქვას ჩვენი სკოლის პედაგოგზე. მათ ყურადღებიანობასა და მზრუნველობაზე მოსწავლეებისადმი. ისინი, განსაკუთრებით კლასის დამრიგებლები, ხშირად დადიოდნენ თავიანთი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთან, ოჯახურ გარემოში მათი სწავლის პირობების გასარკვევად. ყურადღებით იყვნენ დამგვიანებელი და გაკვეთილების გამცდენი მოსწავლეებისადმი. ერთხელ, სამმა მოსწავლემ გადავწყვიტეთ ერთად გაგვემეორებინა გეომეტრიის საგამოცდო ბილეთები. გაკვეთილები ერთი დღით მაინც უნდა გაგვეცდინა, სხვაგვარად ვერ მოვასწრებდით საგნის გადამეორებას. ერთ-ერთი ჩვენგანის სახლში შეკრებილები ვუსხედვართ მაგიდას, ვმეცადინეობთ, ვყვებით, ვწერთ, გაწამაწიაში ვართ და ამ დროს გაისმის კარზე კაკუნი და შემოდის ჩვენი კლასის დამრიგებელი, თავად ალგებრა-გეომეტრიის საგნის პედაგოგი რაჟდენ კრავეიშვილი, პიონერთა ხელმძღვანელთან ერთად. ძალიან შევშინდით, მაგრამ ეს ერთი "შეცოდება" გვაპატიეს.

ჩვენი სკოლის ავტორიტეტულობას მოსწავლეებიც კარგად ვგრძნობდით. სწავლას, წესრიგს, ზრდილობას, ყველაფერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, პარალელურად მაღალ დონეზე ტარდებოდა მოსწავლეთა მხატვრული და შემოქმედებითი ღონისძიებები. სკოლას ადგილობრივი მთავრობისთვისაც უნდა მოეწონებინა თავი. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფიზკულტურის გაკვეთილებს და არა მხოლოდ გაკვეთილებს, არამედ იმ დროისათვის მოდაში არსებულ პარადებს. თავგამოდებით გვამზადებდნენ, ლამაზ ფორმებში გამოწყობილებს ტანვარჯიშითა და სხვა ფიზკულტურული ნომრებით გავარჯიშებულებს საპარადო დღეებში _ პირველ მაისს, შვიდ ნოემბერს ჩვენი ქალაქის პატარა მოედანზე უნდა მოგვეწყო მხატვრულ-ფიზკულტურული სანახაობა. ტრიბუნიდან ქალაქის ხელმძღვანელები გვათვალიერებდნენ და გვაფასებდნენ. ამიტომ იყვნენ საოცრად მონდომებულები ფიზკულტურის მასწავლებლები _ ჟორა კახიანი, ბაჭია ფოცხვერია, გივი კალაძე და სხვა საგნის პედაგოგებიც. პირადში წარმატება სკოლის წარმატება იყო. ჩვენ, ბავშვები, რა საკვირველია, მნიშვნელობას ვანიჭებდით ერთად თავმოყრას, რიგში სიარულის კულტურასა და სილამაზეს, ტანვარჯიშსა და სხვაგვარი, განსახვავებული ტანსაცმლით მორთვა-მოკაზმვას და არა იმ დღეების მნიშვნელობას და შინაარსს. იქმნებოდა სადღესასწაულო განწყობა, მოსწავლეები გულით და სულით ვზეიმობდით.

ᲨᲝᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐ

20 საუკუნეზე ცოტა ადრე იუდეაში იშვა მარიამი. მისი მშობლები სიკეთითა და სიწმინდით გამორჩეული ადამიანები იყვნენ. როდესაც მარიამი სამი წლისა შესრულდა, მშობლებმა იგი იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს და ღმერთს შესწირეს. აქ მარიამი იზრდებოდა მანამ, ვიდრე 14 წლისა არ გახდა.

რაკიღა მარიამს გაუთხოვრობის აღთქმა ჰქონდა დადებული, იგი 80 წლის მოხუც იოსებზე დაწინდეს, რომელიც მეორე მშობლად მოევლინა მარიამს.

...

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა საქართველო, აქ ინახება ქრისტეს კვართი - ღვთისმშობლის ხელითვე მოქსოვილი. ღვთისმშობელი მფარველობს ჩვენს ერს. საქართველოში ღვთისმშობელ მარიამის სახელზე მრავალი ტაძარი და მონასტერია აგებული, მის სახელთანაა დაკავშირებული საეკლესიო დღესასწაულები. სწორედ ამიტომ ქართველები განსაკუთრებული მოკრძალებით ევედრებიან ხსნას ყოველგვარი გაჭირვებისას ღვთისმშობელს და ისიც მადლსა და მფარველობას არ იშურებს თავისი წილხვედრი ქვეყნისათვის.

ღვთისმშობელმა დაიცვას, დაიფაროს და გააძლიეროს სრულიად საქართველო!

21 სექტემბერს აღინიშნება შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა. შესაბამისი ღვთისმსახურება წარმოებს ამ დღეს ტაძრებში.

ᲚᲔᲕᲜᲐ ᲒᲐᲒᲩᲘᲫᲔ



სკოლაში მუშაობდა სიმღერის გუნდი ცნობილი ფოლკლორისტის _ სერგო მუქერიას ხელმძღვანელობით. ძალიან მიყვარდა საგუნდო გაკვეთილები. გვქონდა კონცერტები, საღამოები. მუშაობდა ლიტერატურული წრე ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, შურა კახაძის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ საგანში ყოველთვის მაღალკვალიფიციური პედაგოგი გვყავდა. გვახსოვს მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილები. სწორედ ამ გაკვეთილებზე ვგრძნობდით, როგორ ვიზრდებოდით, როგორ თანდათანობით იფურჩქნებოდა ჩვენში ულამაზესი გრძნობა ჩვენი მიწის, ჩვენი სამშობლოს სიყვარულისა. ინერგებოდა ჩვენში თაყვანისცემა არა მხოლოდ ჩვენი დიდებული მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა, არამედ იმ სოფლების, ქალაქების, იმ მხარეებისა და მიწებისა, სადაც ისინი დაიბადნენ და გაიზარდნენ. სამწუხაროდ, მაშინ როდი გვქონდა იმის ფუფუნება გავცნობოდით ჩვენივე ქვეყნის მთაბარს, ღირსშესანიშნავ ადგილებს, მაგრამ წარმოსახვით, ჩვენივე ფანტაზიით კარგად გავითავისეთ ის კუთხეები, მინდვრები, მთები, მდინარეები, სადაც ბავშვობა გაატარეს ჩვენმა სასიქადულო ადამიანებმა, რომლებმაც ჩვენი სულიერი საგანძური გაამდიდრეს და ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას ღირსება და სიმტკიცე შესძინეს! მაგრამ ყოველივე ეს ჩვენამდე ჩვენმა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მოიტანეს, ჩაგვინერგეს მათდამი ინტერესი, სიყვარული. გაგვაგებინეს, რამხელა განძის მფლობელები ვართ, ვინ ვართ და რა ვართ! რუსთაველი და დავით გურამიშვილი, ვაჟა, ილია და აკაკი, ყაზბეგი... და, რომელი ერთი ჩამოვთვალო მეხუთე საუკუნიდან დღემდე, საქართველოს ქართულად შემნახველები, ჩვენი სიამაყენი. აი, საიდან იბადება ჩვენში სამშობლოს _ როგორც ერთიანი ქართული მიწის სიყვარული, საიდან ჩნდება გრძნობა მისადმი თავდადებისა და თავგანწირვისა! და ხომ ვიცით, რომ ყველაფერი ეს მოდის სკოლიდან, ნელ-ნელა და თანდათანობით, პირველიდან დამამთავრებელ კლასამდე. არ ვიცი, საშუალოა თუ საჯარო იგი, მაგრამ სკოლა ცოდნისა და სამშობლოს სიყვარულის საძირკველია!

ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲡᲢᲔᲠᲩᲘᲜᲐ

მუდმივი კავშირით კლასიკურ მუსიკასთან

ქეთევან ჭელიძე

კლასიკური მუსიკის კონცერტი ავანგარდიზმის უჩვეულობით თუ უჩვეულო ავანგარდიზმით _ როგორაც არ უნდა დავარქვათ, თეთრ და წითელ ფერებში გადაწყვეტილ მოძრავ სცენაზე, არც მეტი, არც ნაკლები, ავტომანქანაზე რომ გახლდათ მოწყობილი, კლასიკური მუსიკა ისმოდა. ნოვაცია, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კომპანია "მაგთის" ეკუთვნის. ისევე როგორც ინტერნეტი, პირველმა მიიტანა საქართველოს ყველა კუთხეში, კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციაც პირველმა დაიწყო ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის კომპანიებს შორის. თუმცა, ფრაზა კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია, არ მიყვარსო, იმ დღის მთავარმა გმირმა. არ უყვარს, იმიტომ, რომ თვლის, "კლასიკურ მუსიკას პოპულარიზაცია არ სჭირდება, მას შეყვარება უნდა!" ჯულიარდის კონსერვატორიის კურსდამთავრებული დავით ალადაშვილი, გარდა იმისა, რომ ამ სიტყვების ავტორია, ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა, ცნობილი პიანისტია.

კომპანია "ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის" და "მაგთი" მუსიკალური ტურნეთი "პიანინო" მთელ საქართველოს შემოივლიან ორი კვირის განმავლობაში და ორმოცდაათამდე კონცერტს გამართავენ. ტურნე სვანეთში დასრულდება. ინსტრუმენტთან, რა თქმა უნდა, დავით ალადაშვილი იქნება. წარმოშობით კახელს, დედით იმერელს და ბებიით გურულს, უხარია და ეამაყება ქართველობა და ამ კონცერტებს სამშობლოს უძღვნის. მისი მოსმენის შემდეგ ეჭვიც არ არსებობს, სამშობლო მისგან გაცილებით დიდი რანგის კონცერტებს რომ მიიღებს მსოფლიო აღიარების მოსაპოვებლად. თუმცა, იმ დღეს ეს ყველაფერი სამტრედიაში ხდებოდა. ვერ მალავდა პიანისტი იმერეთის ამ პატარა ქალაქში დამხვდურთა სითბომ როგორ აღაფრთოვანა. ღია ცის ქვეშ გამართული კონცერტის მსმენელის პროფესიონალიზმს სცენაზე გრძნობდა და არაერთგზის აღნიშნავდა.

"შუმანმა, როცა იგი აღმოაჩინა, შოპენზე თქვა _ ქუდი მოიხადეთ, ბატონებო, გენიოსი მოდის!" იგივე შემიძლია გავიმეორო და წარგიდგინოთ ..." და დავით ალადაშვილმა ირაკლი გოგიბერიძე წარუდგინა მაყურებელს, ვანის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელი, სამტრედიის იმდღევანდელი სტუმარი, რომელმაც საკუთარი კომპოზიცია სახელწოდებით "მიძღვნა" მისი პედაგოგისთვის დაწერა. და სულ მალე სცენაზე ჩვენი ქალაქის მკვიდრი, პატარა პიანისტი დიდი წარმატებებით, ქეთი ზარიაშვილი ავიდა. ტაშსა და ოვაციებს უკვე მიჩვეულ ქეთის სასცენო ემოციებს, გულწრფელი აღფრთოვანების ტაში დავით ალადაშვილისგანაც დაემატა.

რადგან საკუთარი დაკრულის მოსმენა გამუდმებით უწევს, თავად ხშირად არ უსმენს მუსიკას. ასე გვითხრა პიანისტმა, რომლისთვისაც კლასიკური მუსიკა ცხოვრების წესია. თუმცა, "მუსიკაში ყველაფერი ბახიდან დაიწყო, მანამდე კიდევ, ფოლკლორიდან. ქართული ფოლკლორის განსაკუთრებულობაზე ახლა არაფერს ვიტყვი. თუკი კლასიკურ მუსიკაზეა აღმოცენებული, ყველაფერს შემიძლია მოვუსმინო, ელექტრონულსაც კი. ჯაზი ძალიან მიყვარს, გემოვნებიანს რეპსაც კი მოვისმენ. ერთხელ მაინც თუ დაინტერესდები ბახით, ბეთჰოვენით, შუბერტით, მოთხოვნილებად გადაგექცევა, ყველანაირ მუსიკას, ელექტრონულსაც კი, გემოვნებიანს უსმინო!" _ ამბობს ახალგაზრდა პიანისტი თანატოლების გასაგონად.

მწველი მზე და ცხელი ზაფხული, მაღალტანიანი ნაძვების და ფიჭვების ხეივანის მიუხედავად, მაინც თავგამოდებით აცხუნებდა. თუმცა, იყო იმპროვიზებული სცენა და კლასიკური მუსიკის უჩვეულო კონცერტი, ქართველობაზე შეყვარებულმა ახალგაზრდა პიანისტმა ქართველი კომპოზიტორით, რევაზ ლაღიძის რონდო-ტოკატათი რომ დაასრულა.



ᲛᲬᲘᲤᲘᲐ ᲡᲐᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

სიტყვა ანათემა (დაწყევლა, განკვეთა), როგორც უდიდესი სასჯელი ქრისტიანულ ეკლესიაში, პირველად შემოღებული იქნა ჯერ კიდევ IV საუკუნეში ელვირისა და ლოდიკიის საეკლესიო კრებების დროს, რომლებიც, თავის მხრივ, გამართული იქნა 305 წელს ესპანეთში და 364 წელს ფრიგიაში. თუმცა ანათემა საეკლესიო პრაქტიკაში მასობრივად გაბატონებული იქნა 451 წელს, ქალკედონიის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ (მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება). აღნიშნული პერიოდის შემდგომ მსოფლიო საკაცობრიო ისტორიაში უამრავი ცნობილი თუ უცნობი ადამიანი იქნა "შერისხული", როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ, ასევე კათოლიკური ეკლესიის მიერაც. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ანათემას გადაეცემოდნენ (და გადაეცემიან დღესაც) არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ქალაქები, პოლიტიკური წყობილებები (სოციალიზმი, კომუნიზმი) და ისეთი მსოფლმხედველობებიც კი, როგორებიცაა: ნიჰილიზმი (რომის პაპმა ალექსანდრე III გადასცა 1179 წელს), პანთეიზმი, ნატურალიზმი და რაციონალიზმი (აღნიშნული მსოფლმხედველობები 1865 წელს ანათემას გადასცა რომის პაპმა პიუს IX). გარდა ამისა, 1738 წელს "შერისხულნი" იქნენ: მასონები, 1865 წელს "ბიბლიური საზოგადოება" და რიგი "საიდუმლო ორგანიზაციები". ჰუსიტური მოძრაობის მხარდაჭერისათვის 1415 წელს ეკლესიიდან განკვეთილი იქნა პატარა ჩეხური ქალაქი ჟატეცი. მანამდე კი, 1411 წელს, კათოლიკურმა ეკლესიამ ანათემას გადასცა ჩეხეთის ეროვნული გმირი და ჩეხური იდეოლოგიის რეფორმატორი იან ჰუსი.

მსოფლიო საეკლესიო ისტორიაში პირველად ანათემას 325 წელს გადაეცა ქრისტიანულ ეკლესიაში IV-V საუკუნეებში წარმოშობილი მიმდინარეობა არიანელობა (არიანელების თანახმად, იესო ქრისტე დასაბამიდან არ არსებობდა და მამა ღმერთთან ერთად იგი შემდეგშია შექმნილი ადამიანის მსგავსად. მათი რწმენით, ქრისტეში ერთსა და იმავე დროს ღმერთიც არის და ადამიანიც, თუმცა უფრო მეტად ადამიანურობა ჭარბობს). ანათემაზე გადაცემის მეორე შემთხვევა დაფიქსირებული იქნა 341 წელს. ანტიოქიის კრებაზე ამ წელს "შერისხეს" ალექსანდრიის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი და დღეისთვის მართმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი წმინდანი ათანასე I. თავის მხრივ, ათანასემ ანათემას გადასცა ყველა ის სასულიერო პირი, რომლებმაც ანტიქიის კრებაზე იგი შერისხა. დროთა განმავლობაში ანათემას გადაეცნენ ისეთი ცნობილი სასულიერო პირები, როგორებიც იყვნენ: იოანე II (კონსტანტინოპოლის პატრიარქი), იულიანე ჰალიკარნასელი (ჰალიკარნასის ეპისკოპოსი), აგათო (რომის პაპი), ერთ-ერთი უდიდესი ბიზანტიელი ღვთისმეტყველი და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი იოანე დამასკელი კი სულაც ოთხჯერ გადასცეს ანათემას.

ისტორიის ხანგრძლივ ეტაპზე "შერისხულთა" შორის უამრავი ისტორიული პიროვნებაც გვხვდება. პირველი მეფე, რომელიც 1080 წელს რომის პაპმა გრიგოლ VII ანათემას გადასცა, გახლდათ გერმანიის მეფე ჰაინრიხ IV. მას შემდეგ ეკლესიის მიერ შერისხულთა შორის აღმოჩნდნენ: ჰენრი VIII, ელისაბედ I, ჟანა დარკი, ივანე მაზეპა, მარტინ ლუთერი, ჯიროლამო სავონაროლა, ჯორდანო ბრუნო, ლეო ტაქსილი, ნაპოლეონ ბონაპარტი, ლევ ტოლსტოი, ფიდელ კასტრო და სხვები.

www.genia.ge

ხსოვნის უკვდავსაყოფად

ნინო ნანიტაშვილი

ტრადიციული საფეხბურთო ტურნირი ჩატარდა გომის თემში. შეხვედრები ზედა გომის საჯარო სკოლის მინი მოედანზე გაიმართა. აღსანიშნავია, რომ 2002 წლიდან გომის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდები პირველობისთვის იბრძვიან და თავიანთ გამარჯვებას წინა საუკუნის 90-იან წლებში სამაჩაბლოში გმირულად დაღუპული პოლიციელის, სევერიანე თევზაძის ხსოვნას უძღვნიან.

29 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სევერიანე თევზაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირის ფინალური მატჩი ჩატარდა. შეხვედრა გომისა და მთისძირის გუნდებს შორის გაიმართა. გამარჯვება გომის გუნდმა მოიპოვა ანგარიშით 4:3. ორგანიზატორების მიერ ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები გამორჩეული ფეხბურთელებისთვის. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ლომგული წითელაშვილი დასახელდა. საუკეთესო მეკარედ კი ომარ ამაღლობელი. გომში გამართულ საფეხბურთო შეხვედრას ესწრებოდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიან ფოცხვერია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, ასევე, სევერიანე თევზაძის ოჯახის წევრები.

დავით ექიმი

ლევან გაბეჩავა

***

უზომოდ ვალმოხდილი განერიდა საწუთროს ღვაწლმოსილი მედიკოსი, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, წლების განმავლობაში დიდი ჯიხაიშის საავადმყოფოს ყოფილი მთავარი ექიმი, ბატონი დავით კაჭახიძე.

მქონდა პატივი, სოფელ დიდ ჯიხაიშში მუშაობისას ახლო ურთიერთობა მქონოდა დავით ექიმთან და მის მეუღლესთან, ქალბატონ ლეილა კვირკველიასთან, რომელიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თავად იყო საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

კაჭახიძეთა გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, ბატონმა დავითმა, პირნათლად მოიხადა მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალი ახლობლების, საზოგადოების, ქვეყნის წინაშე.

მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე უდიდეს პატივს მიაგებდა ნამარ ადამიანებს, უფრთხილდებოდა ომში დაღუპულთა ნათელ ხსოვნას. ამის მკაფიო გამოხატულება გახლდათ დიდ ჯიხაიშში, ყაზბეგის უბანში, მდინარე ბაღათურასთან ახლოს, ომში დაღუპულ დიდ ჯიხაიშელ-ყაზბეგელთა მემორიალური დაფის გაკეთება, რომლის ინიციატორი ბატონი დავით კაჭახიძე და ასევე, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ბატონი ევტიხი ლეჟავა იყვნენ.

"მემორიალური დაფა რომ იხსნებოდა, ხალხმრავლობა იყო იქ. ომში გმირულად დაღუპული ერთ-ერთი ვაჟკაცის დედამ თავისი შვილის სურათი რომ ნახა დაფაზე, ცრემლიანი თვალებით გვითხრა, ჩემი შვილი თუ აქამდე მოიყვანეთ, სახლში რატომ არ მომიყვანთო". _ იგონებს ღვაწლმოსილი ფინანსისტი, ბატონი გიგანტი ბიბილეიშვილი, რომელიც თბილ სიტყვებს არც დავით კაჭახიძის მისამართით, მისი პიროვნული თვისებების შესამკობად იშურებს.

ყაზბეგის სკოლა ამ მემორიალურ დაფასთან ხშირად მართავდა სხვადასხვა სახის პატრიოტულ ღონისძიებებს.

მახსოვს, თუ როგორი შემართებით, პათოსით იხსენებდნენ აქ მოწვეული ომის ვეტერანები, ბატონები: ევგენი ჯიქიძე, ევტიხი ლეჟავა, მელიტონ, ვალიკო დევიძეები, აკაკი კოხრეიძე, ნიკოლოზ გელაზონია, ბიქტორ თადუმაძე, თავად ბატონი დავით კაჭახიძე ომის მრისხანე დღეებს, ქართველი მეომრების გმირობისა და თავდადების ეპიზოდებს.

წლების მანძილზე თანასოფლელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე ფხიზლად იდგა დავით ექიმი. დარსა თუ ავდარში, ზაფხულის ხვატში, ზამთრის სუსხში მისი სახლის კარი ღია იყო შეჭირვებულთათვის და სოფლის იმედად მოვლენილი მედიკოსიც თავს არ ზოგავდა.

საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი, ბრწყინვალე ოჯახის თავკაცი, დავით ექიმი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. მართალია, ეს მცირე წერილი ბატონი დავითის ხსოვნისათვის დაიწერა, თუმცა აქვე მის მეუღლესაც, ქალბატონ ლეილა კვირკველიასაც გავიხსენებთ. არც მისი ხსოვნა წაშლილა მადლიერ პაციენტთა მეხსიერებაში.

არ ივიწყებენ ღირსეულთ!

მიუზლეს შესახებ...

მიუზლე (ფრანგული სიტყვაა და აღნიშნავს "ალიკაპის დაყენებას") წარმოადგენს მავთულს, რომელიც აკავებს ცქრიალა და შუშხუნა ღვინოების, ანუ შამპანურის ბოთლის საცობს. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ლეგენდის თანახმად, პირველად მიუზლე გამოგონებული იქნა დღეისათვის ესოდენ პოპულარული ფრანგული შამპანურის მწარმოებელი კომპანიის _ "კლიკოს ქვრივის" ხელმძღვანელის _ ჟოზეფინა კლიკოს მიერ (თავად შამპანურის გამოგონებას ფრანგ ბენედიქტელ სასულიერო პირს _ დომ პიერ პერინიონს მიაწერენ, რომელსაც შუშხუნა შამპანურის პირველად გასინჯვის შემდგომ უთქვამს: "იჩქარე, მე ვარსკვლავებს ვსვამ!"_. ამავე ლეგენდის თანამად, ჟოზეფინამ პირველი მიუზლე თავისივე კორსაჟის მავთულისაგან დაამზადა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეს უფრო მითს ჩამოჰგავს, რადგან პირველი მიუზლეები არა მავთულისაგან, არამედ წვრილი თოკებისაგან მზადდებოდა. მავთულისაგან დამზადებული მიუზლეს გამოგონებაზე პირველი პატენტი გაცემული იქნა 1844 წლის 5 ივლისს _ ადოლფ ჟაკსონზე. დღეისათვის, მიუზლეს მავთულის საერთო სიგრძე 50-დან 60 სანტიმეტრამდე მერყეობს (მათი სიგრძე დამოკიდებულია დამზადების ტექნოლოგიაზე).

Genia.Ge

ორმოცი დღე გავიდა ჩვენი უახლოესი მეგობრის, საყვარელი ადამიანის, სამტრედიის კოლორიტის, ღირსეული მეუღლის, მამის, ბაბუის და უკეთილშობილესი მეგობრის,

მიშა მესხის

გარდაცვალებიდან. ტკივილითა და სევდით გიგონებთ ერთგულო მეგობარო, ნათელში ამყოფოს უფალმა შენი კეთილი სული!

უახლოესი მეგობრები

"ბავშვების სასრიალო"

საბავშვო ბაღებში, სკვერებსა თუ პარკებში განთავსებული პატარების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გასართობი მოწყობილობა _ "ბავშვების სასრიალო" გამოგონებული იქნა ინგლისელი ინჟინრისა და მეცენატის _ ჩარლზ უოსტიდის (1847-1931 წლები) მიერ. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ "ბავშვების სასრიალოს" არა მხოლოდ გასართობი დანიშნულება გააჩნდა, არამედ იგი იმთავითვე განკუთვნილი იყო პატარების სპორტული გაჯანსაღებისა და განვითარებისთვისაც. პირველი თანამედროვე ტიპის "ბავშვების სასრიალო", რომელიც ხისგან იყო დამზადებული, უოსტიდმა 1922 წელს განათავსა ინგლისის პატარა ქალაქ კეტერინგში არსებულ პარკში. საყურადღებოა, რომ ვაჟებისათვის განკუთვნილ პირველ "ბავშვების სასრიალოებს" გაცილებით მაღალი დასაშვები (ჩამოსასრიალებელი) გააჩნდა, ვიდრე გოგონებისათვის განკუთვნილს. მოგვიანებით ეს დისბალანსი გათანაბრებული იქნა. უწინდელისაგან განსხვავებით, დღეისათვის ჩარლზ უოსტიდის მიერ სპეციალურად ბავშვებისათვის გამოგონებულ ვერტიკალურად დასაშვებ სასრიალოებს სხვადასხვა მეტალისა და პლასტმასებისაგან ამზადებენ. ისინი არა მხოლოდ ბაღებში, სკვერებსა და პარკებშია განთავსებული, არამედ _ აკვაპარკებშიც, სადაც ბავშვების მსგავსად, ერთობ დიდი მოწონებით სარგებლობს უფროსი თაობის ადამიანებიც.

Genia.Ge



კი ჩამოვალთ, თუ საზღვარზე
არ დაგვიხვდა ვინმე მტრულად,
რინგო სტარს და პოლ მაკარტნის
გვიმასპინძლეთ იმერულად!

სასწრაფოდ იყიდება

ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, ორი ბინა - ოროთახიანი და ერთოთახიანი.

მობ.: **599 43 90 01; 599 68 95 35.**

ვულოცავთ!

ნათია ნაცვლიშვილს!



პროდუქტიული, მარადის ახლის მაძიებელი ჟურნალისტი, დასაყრდენი მეგობარი და თანამშრომელი, ერთგული მეუღლე, მზრუნველი დედა, უღალატო მეგობარი. ასეთია ჩვენი კოლეგა ნათია ნაცვლიშვილი.

იუბილარია ამ დღეებში იგი. "სამტრედიის მაცნე" პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს მას დაბადების დღეს, შემოქმედებით წარმატებებს, სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე დღეებს უსურვებს ოჯახთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

დემეტრე კიკვაძეს!

ნიჭიერ, პერსპექტიულ ბიჭს, ჩვენს საყვარელ დემეტრეს, 9 წლის შესრულებას ვულოცავთ. უფლის მადლი და წყალობა არ მოჰკლებოდეს. საამაყო ქართველი გაიზარდე ჩვენო დემეტრე.

"სამტრედიის მაცნე"



ანდრია წოწელიას!

ოქროსკულულებიან ვარსკვლავთბიჭუნას, 5 წლის შესრულებას ვულოცავთ პატარა ანდრიას. ერთი ასად ქცეოდეს მის ოჯახს, ჯანი, ლხინი და იღბალი დაებედოს, გაიხაროს და გაგვახაროს!

"სამტრედიის მაცნე"

კამბოჯის სამეფო _ ერთი საინტერესო ეპიზოდი

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში განთავსებულ კამბოჯის სამეფოში ერთ საინტერესო მოვლენას აქვს ადგილი. სურვილის შემთხვევაში კამბოჯის ნებისმიერ მოქალაქეს ოფიციალურად ეძლევა უფლება, რომელიმე ქუჩას შეარქვას თავისი სახელი. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ქალაქების მუნიციპალიტეტები ამა თუ იმ ქუჩისათვის თავისი სახელის დარქმევის მოსურნე კანდიდატს მხოლოდ და მხოლოდ ერთ მოთხოვნას უყენებენ: მან საკუთარი ხარჯით უნდა მოკირწყლოს ეს ქუჩა და შემდეგ სრული პასუხისმგებლობა აიღოს მის მოვლა-პატრონობაზე, მუდმივად ადევნოს თვალყური აღნიშნული ქუჩის მოკირწყლულობას. იმ შემთხვევაში კი, თუ გზა დაზიანდა, იგი ვალდებულებას იღებს ქალაქის ხელმძღვანელობის წინაშე, ხელახლა მოკირწყლოს ქუჩა ისევ და ისევ საკუთარი სახსრებით.

Genia.Ge

ინგა ბექაიას!

გილოცავ ინგა! უდარდელი ღიმილი და ბედნიერებით გაცისკროვნებული დღეები დაებედოს შენს მზეგრძელ სავალს. ძალიან მიყვარხარ და მინდა მეიმედებოდე.

თეა ბაბუნაშვილი

კოტე ნასარეიას!

ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს როგორც პირად, ისე პროფესიულ საქმიანობაში.

ბექან გოგია

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე

გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპამა